ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი

პარასკევი 15 ოქტომბერი 1999 №198 (971)

ფასი 50 თეთრი


4

## მთავარი საწუხარი — ზაზა ჯანაშია

მოსკოვის „ლოკომოტივის“ ქართველმა თავდამსხმელმა თავი გაიტეხა, სახელი კი კვლავაც ძველი აქვს



10

## არავის ეშინია, უკმაყოფილოც არავინაა

ისევ პლეი ოფის შესახებ

8

## რეფერენდუმი საქართველოს საუკუნის სპორტსმენები

წარმოგიდგენთ ლაურეატებს



შოთა ხაბარელი

12

## 37 წლის წინ დაწერილი ისტორია




როგორ გააკეთა უილტ ჩემბერლენმა 100 ქულა

# სამოამ უელსს აჯობა, ჯენკინსმა — ყველას




უელსი — სამოა 31:38 უელსელი გარეტ ტომასი სამოელ რობი ალის კი დაუსხლტა და ლელოც გაიტანა, მაგრამ ამან უელსს ვერა უშველა

გუშინ მორაგბეთა მსოფლიოს თასის მესამე ტურის ოთხი მატჩი გაიმართა. სამი შეხვედრა ისე დასრულდა, როგორც მოსალოდნელი იყო. სამხრეთელმა ბობოლებმა ახალმა ზელანდიამ და ავსტრალიამ იოლად დაჩაგრეს მეტოქეები და მეოთხედფინალშიც ითამაშებენ. კანადამ ისეთი დიდი ანგარიშით მოიგო, სავსებით შესაძლოა, საუკეთესო მესამეადგილოსანი გახდეს და მეოთხედფინალის საგზურისთვის ირლანდია — რუმინეთის გამარჯვებულს შეხვდეს. უელსელებისა და სამოელების შეხვედრას კი მსოფლიოს თასის პირველი სენსაცია მოჰყვა: ტურნირის მასპინძლებმა ვერაფერი გააწყვეს ოკეანეთელებთან და უკეთეს რვა გუნდში მოსახვედრად ახლა A ჯგუფის მეორე გუნდთან, შოტლანდიასთან მოუწევთ შებმა. ამავე მატჩში უელსელთა დამრტყმელმა ნილ ჯენკინსმა შედეგიანობის მსოფლიოს რეკორდი დაამხო. მან 16 ქულა შესძინა თავისიანებს და საერთაშორისო მატჩებში მოპოვებული 927 ქულით მსოფლიოში ყველაზე შედეგიანი მორაგბე გახდა, რაც უელსელებს მცირედით თუ დაუამებს წაგებით გამოწვეულ ტკივილს.

| B ჯგუფი |
|---|
| ახალი ზელანდია 101:3 იტალია |
| C ჯგუფი |
| კანადა 72:11 ნამიბია |
| D ჯგუფი |
| უელსი 31:38 სამოა |
| E ჯგუფი |
| ავსტრალია 55:19 აშშ |

# მსოფლიოს კლუბთა პირველი კენჭისყრა




გუშინ რიო დე ჟანეიროს „კოპაკაბანა პალას ოტელის“ ოქროს დარბაზში მსოფლიოს პირველი საკლუბო ჩემპიონატის წილისყრა გაიმართა. 5-დან 14 იანვრის ჩათვლით სან პაულუსა და რიო დე ჟანეიროს მინდვრებზე ჯგუფური ტურნირის მატჩები ჩატარდება. ჯგუფებში გამარჯვებულები 14 იანვარს მსოფლიოს კლუბთა პირველი ჩემპიონის ვინაობას გაარკვევენ, მეორეადგილოსნები კი მესამე ადგილისთვის იბრძოლებენ.

**A ჯგუფი**

რეალი (მადრიდი, ესპანეთი)
კორინთიანსი (ბრაზილია)
ალ ნასრი (საუდეთი)
აფრიკის ჩემპიონი

5 იანვარი
რეალი — ალ ნასრი
კორინთიანსი — აფრიკის ჩემპიონი

7 იანვარი
რეალი — კორინთიანსი
აფრიკის ჩემპიონი — ალ ნასრი

10 იანვარი
რეალი — აფრიკის ჩემპიონი
ალ ნასრი — კორინთიანსი

**B ჯგუფი**

მანჩესტერი (ინგლისი)
ვასკუ და გამა (ბრაზილია)
ნეკაქსა (მექსიკა)
საუთ მელბურნი (ავსტრალია)

6 იანვარი
მანჩესტერი — ნეკაქსა
ვასკუ და გამა — საუთ მელბურნი

8 იანვარი
მანჩესტერი — ვასკუ და გამა
საუთ მელბურნი — ნეკაქსა

11 იანვარი
მანჩესტერი — საუთ მელბურნი
ნეკაქსა — ვასკუ და გამა





ტურნირის მატჩები „მარაკანასა“ (მარცხნივ) და „მორუმბის“ სტადიონებზე გაიმართება

საქართველოს 11 ჩემპიონატი · I წრე

# ორი ჩემპიონი სჯობია ერთს

ეროვნული ბიბლიოთეკა

## «ა» ზონა

# ესეც ზონა თბილისური

რომ არა „ბათუმი“, „სიონი“ და „სამგურალი“, მეთერთმეტე ეროვნული ჩემპიონატის „ა“ ზონა წმინდად თბილისური იქნებოდა. თბილისური იქნებოდა იმის გამო, რომ „ა“ ზონაში ხუთი თბილისური გუნდი გამოდის, ლიდერი თბილისელია, აუტსაიდერიც ასევე, საპრიზო ადგილს (ჯერჯერობით მაინც) თბილისელი ვეტერინარები არავის უთმობენ და შუალედური კლუბებიც ხომ თბილისელები — „თბილისი“ და „ლოკომოტივი“ არიან. ამიტომაა, „ა“ ზონას ზოგიერთი თბილისის ღია ჩემპიონატს რომ უწოდებს (კეთილგანწყობილი ღიმილით).

ამ „თბილისური“ ზონის მწვერვალზე, როგორც მოსალოდნელი იყო, მარადი ჩემპიონი წამოსკუპებულა და ორქულიანი აქტივით გულმიცემული ისევე მედიდურია, როგორც იალბუზი კავკასიის მთიანეთში, ანაც ჯომოლუნგმა ჰიმალაის მასივში.

„დინამოს“ ქართულ-ებრაული ანეკდოტური ფოლკლორის ერთი გმირივით მოუვიდა — ღმერთო, წაგებით დამაწყებინე და მოგებით მე დავამთავრებო, რომ ინატრა. პირველ ორ ტურში ორიდან ორი მარცხი — ეს ისეთი შედეგი გახლდათ საქართველოს უცვლელი ჩემპიონისთვის, „დინამოზე“ გაცილებით დიდი (ალბათ, მწარეც) გამოცდილების მქონე გუნდებს დასცემდა მეხს და ელდას. შეძლეს დინამოელებმა გონს მოსვლა. მესამე ტურის შეხვედრა ნამდვილად გაუჭირდათ ერთ დროს ფარმ-კლუბ „თბილისთან“, მაგრამ ის შეხვედრა მაინც მოიგეს, მერე კი ჩვეულად აიწყვიტეს... ამის შემდეგ გაბრაზებულ „დინამოს“ „ვიტ ჯორჯია“, „სამგურალი“, „ლოკომოტივი“ და „სიონიც“ ემსხვერპლნენ. ჩემპიონის აქტივში ხუთმა გამარჯვებამ მოიყარა თავი. ხუთი გამარჯვება თხუთმეტი ქულაა, თხუთმეტი ქულა კი — „ა“ ზონის საპირველადგილო შედეგი.

აღსანიშნავია ერთი ფაქტიც, მესამე ტურიდან მოყოლებული (როცა „დინამომ“ „თბილისი“ დასცა 3:2), ჩემპიონმა ოთხ მატჩში ერთადერთი გოლი გაუშვა, ისიც წყალტუბოში და ისიც ლამის ჩაშლილ შეხვედრაში. გატანილ-მიღებული ბურთებით თუ ვიმსჯელებთ, „დინამო“ მათი სხვაობითაც აშკარა ლიდერია.

ლიდერზე ჩამოვარდა საუბარი და უპრიანი იქნება, „ა“ ზონის ყოფილ ლიდერ „ვიტ ჯორჯიაზეც“ ვთქვათ ორიოდ სიტყვა. ამ სოლიდურმა გუნდმა ნამდვილი საფეხბურთო ინტრიგა შემატა მეთერთმეტე ეროვნულ ჩემპიონატს. ვიტელების გეგმაზომიერი წინსვლა წლების მანძილზე აშკარაა და მათ ახალგაზრდულ პოტენციალსა და სიძლიერეს თუ ჩამოვალთ ფსონად, არა გვგონია, მეტოქეებს ჯილეხზე თუ ციმბირის წყლულზე ნაკლებ ეშინოდეთ მათი. „ვიტ ჯორჯიის“ წარმატება ძირითადად მათი გუნდური გარჯის შედეგია, მაგრამ დამსახურებას ვერ დავუკარგავთ ვიტელთა აშკარა მეგოლეს და ლიდერს გიორგი ქორიძეს, რომელზეც გუნდის გატანილი გოლების 60 პროცენტი, ანუ ათიდან ექვსი გოლი მოდის.

გაშვებითაც საკმაოდ ცოტა გაუშვეს ვეტერინარებმა. ეს კი ქების მეტს რას გვათქმევინებს მათ ახალგაზრდულ დაცვის ხაზზე.

ახლა კი კატენაჩოშეყრილ და ყველაზე ცოტა ბურთის გამტან-გამშვებ (სრულიად საქართველოს ეგიდით) „ბათუმზე“. ზღვისპირელებს ჯერ არ წაუგიათ... შესაბამისად, ქებათა ქება ჯანი კარნევალეს და მის პრაგმატულ, შედეგზე გათვლილ აზროვნებას. რაც შეეხება ფეხბურთს, კარნევალეს ნაქადაგები ბურთაობა სრულიად არ გახლავთ სპაგეტივით, ანაც პიცასავით მადისაღმძვრელი, მაგრამ „ბათუმი“ ზონის ლიდერ სამეულშია და ეს თავისთავად ნიშნავს რაღაცას. ერთიც შეიძლება ითქვას: „ბათუმში“, ფაქტობრივად, დაწყებულია თაობათა ცვლა. ეს კი ფეხბურთში რამდენა საფრთხობელაცაა, თბილისელ დინამოელებს ჰკითხეთ. თუმცა მისი მსახვრალი ხელი ბათუმელებს ჯერჯერობით არ შეხებიათ (ფაქტი და შედეგი სახეზეა) და სამომავლოდაც მხოლოდ ზურგში ქარი ვუსურვოთ „ა“ ზონის მესამეადგილოსნებს.

„თბილისი“ — „ვიტ ჯორჯიაზე“ ახალგაზრდა და ბარე ორჯერ პერსპექტიული გუნდი. ამ ბიჭებს ჯერაც ბევრი რამ აკლიათ დიდი ფეხბურთის სათამაშოდ და ეს „ლოკომოტივთან“ პირველი წრის ბოლო შეხვედრამაც დაამტკიცა. ისე კი, თუ თავიანთ თავსა და ოსტატობაზე იმუშავეს, „თბილისის“ ფეხბურთელების სახით ქართულ ფეხბურთს მომავალი ეზრდება — ეს აშკარაა. სასიხარულოა, რომ ქართულ გუნდებში ერთი ევროდონის ტენდენცია მკვიდრდება — ყველა გუნდს ჰყავს ერთი გამოკვეთილი ფეხბურთელი, რომელსაც სხვებზე მეტი გოლი გააქვს და რიგ შეხვედრებში გუნდის ლიდერადაც კი იქცევა. „თბილისში“ ასეთი გიორგი მიქაძეა, მაგრამ თუ საჭირო გახდა, არც კვარაცხელია, გაგუა და სხვები აკლებენ ხელს.

„აღას და ფანების“ სალოცავს, ბოლნისის „სიონს“ ვახლავართ. სეზონის წინ კი იყვნენ ცოტათი გულგატეხილები. „სიონის“ ფეხბურთელები — შემადგენლობა არა გვყავს და ფულიც დასარიგებელიაო, მაგრამ ისე მოხდა, რომ გვირაბის ბოლოს მართლა გამოჩნდა სინათლე და თუ იქ საბოლოოდ და მკვიდრად დაამკვიდრეს „კოკა-კოლას“ ფირნიში, მერე ნახეთ „სიონი“ და მისი ჯანი...

ყოველ შემთხვევაში, შვეიცარიულ „სიონზე“ მეტი თუ არა, ნაკლები არაფრით იქნება ჩვენი, ქვემოქართლული „სიონი“. ისე, ერთი კარგი მეგოლე ნამდვილად არ აწყენდათ, ბოლნისელებს, ისინი „ბათუმის“ მერე, „ა“ ზონის ყველაზე ნაკლებშედეგიანი გუნდის სახელს ატარებენ და მხოლოდ ოთხი გოლი აქვთ გატანილი.

ახლა „სამგურალზეც“. იგი თავიდანვე განწირულად ითვლებოდა და ზონის ბოლო ადგილზე უკეთეს შედეგს ნამდვილად არავინ უწინასწარმეტყველებდა, მაგრამ გუნდმა ორი მოიგო, ერთხელ დაზავდა, შვიდ ქულას მოუყარა თავი და სხვას თუ არა, „არსენალს“ მაინც გაუსწრო. ჩემპიონატში სალამიც არ მოემთავრებინათ წყალტუბოელებს, როცა მწვრთნელი ბურკაძე შეუცვალეს და წესით, ამასაც უნდა მოეხდინა გავლენა „სამგურალის“ შედეგზე, მაგრამ გუნდის სათავეში იასონ ბზიკაძის მოსვლით, პირიქით, იხეირეს იმერლებმა. სწორედ იმ პერიოდში აიღეს შვიდივე ქულა და... მერე ძალამ აღმართი დახნა, „სამგურალმა“ ისევ წაგებები მიაყოლა წარმატებას და ასე დაიბევა მეშვიდე ადგილი. ბოლო „არსენალია“, „დინამოს“ 2:0 მომგები გუნდი, რომელსაც სტაბილური შემადგენლობა ჰყავს და თავისი თამაშიც იპოვა. თუმცა ეს მანამ იყო, სანამ „არსენალი“ გაიფიცებოდა. არმიელები კი იმიტომ გაიფიცნენ, რომ ჯიბის, პურის და სავარჯიშო ფული მოაკლდათ. აბა, რა შედეგზე და თამაშის ხარისხზე იქნებოდა საუბარი, როცა მთელი „არსენალის“ ბედი ელისტიდან გემეზაშვილის ტრანსფერის გამო გადმორიცხულ 30 ათას დოლარზე ეკიდა. 30 ათასი დოლარი კი არ არის ისეთი გამძლე ბეწვი, „არსენალის“ პრობლემებს გაუძლოს.

ვნახოთ, მეორე წრეში ეგებ გამოსწორდეს საქმე, მანამდე კი „არსენალი“ ბოლოა და ეს ცუდია. ასეთი ფეხბურთელების პატრონ გუნდს ნამდვილად არ ეკადრება მსგავსი შედეგი. ისე, ჩვენი ქვეყნის დონეს რომ ნამდვილად აუდის არმიული ფეხბურთი, ეს „არსენალის“ ბურთების შეფარდებასაც ეტყობა.

ბოლოსთვის ყველაზე ინტრიგული, სათავგადასავლო ლუკმა — „ლოკომოტივი“, მისი შემოტოვება ათასმა რამემ გვიკარნახა — ევროელჩობამ, მწვრთნელის ცვლილებამ...

„ლოკომოტივმა“ მგონი იპოვა თავისი სათამაშო ხელწერა, ოღონდ პირველი წრის ბოლოს. იქნებ ამიერიდან დაიწყოს ჩვეული ზესვლა და მძლავრი ქშენით (ლოკომოტივისდარი) შეუტიოს საპრიზო ადგილს. აღდგომა და ხვალეო. მეორე წრეც მალე მოვა და იმედია, „თემური და მისი რაზმიც“ არაერთს გააწბილებენ.

ეს არის და ეს. თამაშის ხარისხი საკმაო დონეზე იყო „ა“ ზონაში და მას არც დაძაბულობა აკლდა. ადგილებიც თითქმის ვარაუდის მიხედვით განაწილდა, რიგმა გუნდებმა მეორე წრეს პირველშივე ჩაუყარეს საფუძველი.

დანარჩენი კი ოქტომბრის შუაგულის მერე ელის თბილისურ ზონას.

**კონსტანტინე გოგიშვილი**



ჩემპიონატის ბომბარდირი ვიტ ჯორჯიელი გიორგი ქორიძე



ჯანი კარნევალეს ვარჯიშებმა ბათუმელებს არგო

| ბომბარდირები | |
|---|---|
| 6 - გ. ქორიძე | ვიტ ჯორჯია |
| 5 - ალექსიძე | დინამო |
| იონანიძე | ტორპედო |
| 4 - აშვეთია | დინამო |
| მეგრელაძე | ტორპედო |
| გ. მიქაძე | თბილისი |
| 3 - დევიძე | მერანი |
| თოლორდავა | მერანი |
| კვარაცხელია | თბილისი |
| სულთანიშვილი | დილა |

«ა» ზონა

| № | გუნდები | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დინამო | | | | 3:2 | 3:0 | 4:0 | | | 7 | 5 | 0 | 2 | 13:6 | 7 | 15 | 3 | 3 | 0 | 0 | 10:2 | 8 | 9 | 4 | 2 | 0 | 2 | 3:4 | -1 | 6 |
| 2 | ვიტ ჯორჯია | 0:1 | | | | 3:0 | 3:1 | 3:0 | | 7 | 4 | 1 | 2 | 10:5 | 5 | 13 | 3 | 2 | 0 | 1 | 6:2 | 4 | 6 | 4 | 2 | 1 | 1 | 4:3 | 1 | 7 |
| 3 | ბათუმი | 1:0 | 0:0 | | | | | 0:0 | 1:0 | 7 | 2 | 5 | 0 | 3:1 | 2 | 11 | 4 | 2 | 2 | 0 | 2:0 | 2 | 8 | 3 | 0 | 3 | 0 | 1:1 | 0 | 3 |
| 4 | თბილისი | | 2:1 | 1:1 | | | | 5:2 | | 7 | 2 | 3 | 2 | 14:12 | 2 | 9 | 3 | 2 | 1 | 0 | 8:4 | 4 | 7 | 4 | 0 | 2 | 2 | 6:8 | -2 | 2 |
| 5 | სიონი | | | 0:0 | 2:2 | | | | 1:0 | 7 | 2 | 2 | 3 | 4:9 | -5 | 8 | 4 | 2 | 2 | 0 | 4:2 | 2 | 8 | 3 | 0 | 0 | 3 | 0:7 | -7 | 0 |
| 6 | ლოკომოტივი | | | 0:0 | 2:1 | | | 2:0 | 2:2 | 7 | 2 | 2 | 3 | 7:11 | -4 | 8 | 4 | 2 | 2 | 0 | 6:3 | 3 | 8 | 3 | 0 | 0 | 3 | 1:8 | -7 | 0 |
| 7 | სამგურალი | 1:2 | | | | 1:0 | | | 1:0 | 7 | 2 | 1 | 4 | 5:10 | -5 | 7 | 4 | 2 | 0 | 2 | 3:3 | 0 | 6 | 3 | 0 | 1 | 2 | 2:7 | -5 | 1 |
| 8 | არსენალი | 2:0 | 1:2 | | 1:1 | | | | | 7 | 1 | 2 | 4 | 6:8 | -2 | 5 | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 1 | 4 | 4 | 0 | 1 | 3 | 2:5 | -3 | 1 |



„ხობი“ — „ტორპედო“ 1:2. ქუთაისელი გია მეგრელიძე კარში დასარტყმელად ემზადება

საქართველოს ჩემპიონატი I

# «ბ» ზონა

სამტრედიის „იბერიიდან“ მოყოლებული „ბ“ ზონის ქვედა ხუთი გუნდი აშკარად სუსტად გამოიყურება. ის, რომ სამტრედიელები ამ ხუთეულს სათავეში უდგანან, მაინც კანონზომიერი მოვლენაა. სოსო ფრუიძის შეგირდები დანარჩენებთან შედარებით უკეთესად მომზადებულების შთაბეჭდილებას ტოვებენ. სეზონის დასაწყისს იმერლები პრობლემებით შეხვდნენ. ისე, პრობლემასაც გააჩნია. სამტრედიელებმა უსტადიონოდ დაიწყეს მე-11 ეროვნული და პირველი ტურის შინაური მატჩი „მერანთან“ თბილისში „ეროვნულზე“ გამართეს. საკუთარ არენაზე დაბრუნების სიხარული „იბერიას“ „ტორპედომ“ არ აცალა — 3:0 მოუგო. თუმც „ეროსი მანჯგალაძეზე“ ჩატარებულ შემდეგ ორ შეხვედრაში სამტრედიელებმა ქულათა მაქსიმუმი აიღეს და „ბ“ ზონის პირველ ოთხეულში მოხვედრაზე სერიოზული პრეტენზია განაცხადეს.

რუსთავის „გორდა“ სასწაულებრივად ჩაერთო მიმდინარე გათამაშებაში. „ფოლადზე“ სეზონის გახსნა სკანდალურ ფაქტს უკავშირდება. სფფ-ს ანგარიშზე შესატანი მონაწილეობისთვის განკუთვნილი 10 ათასი ლარი ზედ „ტორპედოსთან“ მატჩის დაწყებამდე 15 წუთით ადრე შეაკოწიწეს რუსთაველებმა და ისე დაყარეს მაგიდაზე, თითქოს თავიანთი ჭირიც მიეყოლებინოთ. ეგ იყო და მორჩა. პირველ წრეში „გორდამ“ შესაძლებლობის მაქსიმუმს კი მიაღწია, მაგრამ არასტაბილური თამაშითაც გამოირჩა. რუსთაველებს თსუ-სთან და „მერანთან“ ერთად თანაბარი შანსი აქვთ, „ბ“ ზონაში სამტრედიელებს მე-4 ადგილისთვის ბრძოლაში შეეცილონ.

თსუ-ს ახალგაზრდულ შემადგენლობაზე ბევრი ითქვა და დაიწერა. გუნდი ჩამოყალიბების პროცესშია და მისი კრიტიკა — გინდა თუ არა, უფრო კარგი შედეგი რატომ არა აქვსო, ცოტა უადგილოა, რასაც ვერ ვიტყვით „ბ“ ზონის კიდევ ერთ თბილისურ კლუბ „მერანზე“. ეს გუნდი ხომ ყოველთვის საშუალო სიძლიერით გამოირჩეოდა.

სეზონის წინ ტრანსპორტელთა მწვრთნელობა 40 ფეხბურთელის შერჩევით იყო დაკავებული. თუმცა თავადაც აღნიშნავდნენ, რომ ეს კონტინგენტი არ აკმაყოფილებდა მათ მოთხოვნებს. მართალია, მათგან საუკეთესოები შეიყვანეს განაცხადში, მაგრამ სასურველ დონეს ვერა და ვერ მიაღწიეს. ისე, პირველი წრის ბოლო ტურში „მერანმა“ არც თუ ურიგოდ ითამაშა და ვნახოთ, გამოდგება თუ არა ის მატჩი ავჭალელთა აღმასვლის საწყისად.

ჩემპიონატის დებიუტანტი „ხობი“ ჯერჯერობით ბოლო საფეხურზეა. სიმართლე გითხრათ, მათგან მეტს ბევრი არც ელოდა. საფეხბურთო ტრადიციებით ცნობილი ხობელები უძლიერესთა ელიტას რომ დაუბრუნდნენ, ეს ფაქტიც დადებით ემოციებს იწვევს და „ხობის“ უკეთესი მომავლის იმედით გვავსებს.

„ბ“ ზონაში ჩატარებულმა პირველი წრის 28 შეხვედრამ ერთი რამ ნათელყო — ზედა სამეულის ბედი ფაქტობრივად გარკვეულია. მეორე წრემ მხოლოდ ერთ კითხვას უნდა გასცეს პასუხი — ვინ იქნება მეოთხე?

**ხვიჩა სანიკიძე**



„დილა“ — „იბერია“ 2:0. გორელ ქრისტეფორე შატაკიშვილს სამტრედიელთა მეკარემ გუბაზ დოლიძემ დაასწრო

# ვინ იქნება მეოთხე?

ჩვენ მხოლოდ ჩემპიონობა გვინდა! — ახლა ეს სიტყვები ყველაზე პოპულარულია ქუთაისში. ეროვნული ჩემპიონატის 9-წლიანი არსებობის მანძილზე საფეხბურთო ქუთაისს ამგვარი ამბიცია ჯერ არ შეპყრია. იმერელ გულშემატკივრებს მხოლოდ „ტორპედოს“ პირველობა ამოუჭრიათ გულში და თუნდაც შარშანდელი შედეგის განმეორებაზე ფიქრიც არ სურთ. სურვილი ერთია და შესაძლებლობა მეორე, ესეც კარგად უწყიან ქუთაისელმა ქომაგებმა და როცა მათ ეკითხები — აქვს თუ არა „ტორპედოს ყველა პირობა ჩემპიონობის მიღწევისთვის, თანხმობის ნიშნად თავს გიქნევენ.

მიხეილ ქორქია და „არგომარ ოილი“ — კლუბის ეკონომიკური სიძლიერის გარანტი, დავით ყიფიანი და სოლიდური შემადგენლობა, ნორმალური საწვრთნელი ბაზა და კოხტა სტადიონი, ერთგული გულშემატკივარი და... რაც მთავარია, ბრწყინვალე შედეგიანობა და შანსი. შანსი, რომელიც „ტორპედოს“ არც თუ ძლიერ „ბ“ ზონაში მოხვედრისას გაუორმაგდა.

4 წლის წინათ, როცა „სამტრედია“ ჩემპიონობისთვის ეცილებოდა დავით ყიფიანის „დინამოს“, დინამოელთა მეკარეს ირაკლი ზოიძეს უთქვამს — თუ ვინმე ოდესმე შეძლებს „დინამოს“ პირველობა აართვას, ეს ქუთაისის „ტორპედო“ იქნება. იცოდა ზოიძემ, რასაც ამბობდა... თუ ოთხი წლის წინანდელი გათამაშების ბატალიებს სრულად გავიხსენებთ, მოვიგონებთ ყველაფერს, რაც ხდებოდა მოედნებსა თუ მის გარეთ, არ გაგიჭირდებათ, ჩაწვდეთ მის არსს, იმ მწარე სიმართლეს, რომელიც დღემდე თვალებს უწვავს ქართველ გულშემატკივარს და ტვირთად აწევს დამოუკიდებელ ქართულ ფეხბურთს.

„დინამოს“ მწვრთნელობისას მე ყველაფერი მოვიგე (საქართველოში), ეროვნული ნაკრების თავკაცობიდან მარტო ნებით არ წავსულვარ, ნაკრების სკაუტობაზე ჩემი დონის სპეციალისტი არ უნდა დაყაბულდეს. „ტორპედომ“ შარშან მეორე ადგილი აიღო, მის ზემოთ კი მე მხოლოდ ერთი ადგილი ვიცი — ეს სიტყვები თბილისიდან ქუთაისში გადაბარგებულ დავით ყიფიანს ეკუთვნის, ამბიციურ მწვრთნელსა და პიროვნებას.

„ტორპედომ“ ამ გათამაშებაში უკვე ჩემპიონობისთვის უნდა იბრძოლოს, ხელმძღვანელობას იმედი უნდა გაუმართლოს — განუცხადა „სარბიელს“ ქუთაისელთა ერთ-ერთმა საუკეთესო ფეხბურთელმა ზურაბ იონანიძემ.

აი, ასეთი განწყობილებაა „ბ“ ზონის დაუმარცხებელი ლიდერის ბანაკში. პირველი წრე „ტორპედომ“ 90-პროცენტიანი მაჩვენებლით დაასრულა, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს იმერელთა ამბიციას და სასურველ ინტრიგას უმზადებს მეთერთმეტე ეროვნულის მეორე ეტაპს.

მეორეადგილოსანი ფოთის „კოლხეთი“ თბილისის „დინამოს“ მერე ყველაზე ტიტულიანი კლუბია საქართველოში. მიმდინარე სეზონის წინ ფოთელები აცხადებდნენ — წლეულს მოკრძალებული მიზნები გვაქვს, გუნდის გაახალგაზრდავებაზე ვიზრუნებთ და საპრიზო ადგილზე გაუსვლელობას ტრაგედიად არ აღვიქვამთო. გაახალგაზრდავებისა და შემადგენლობის გადახალისების ელემენტები მართლაც შეიმჩნევა „კოლხეთში“, თუმცა გუნდის ძირითადი ბირთვი უცვლელი დარჩა და ვფიქრობ, კოლხები ასე ადვილად ვერ შეეგუებიან საშუალო გუნდის იარლიყს. ლიდერთა სამეულში ყოფნას ჩვეული ფოთელები პირველ წრეში მხოლოდ შინ „ხობთან“ 2:3 წაგებული შეხვედრით თუ იქნებიან უკმაყოფილონი, თორემ გორსა და ქუთაისში დიდი ანგარიშით დამარცხებები აშკარად ლოგიკური შედეგი გახლდათ. „კოლხეთი“ ახალ სისხლსა და ფართომასშტაბიან რეფორმებს საჭიროებს. პირველ რვა გუნდში მოხვედრა გარანტირებული აქვს და აჯობებს, მე-11 გათამაშება მომავალი ჩემპიონატისთვის სრულფასოვანი მომზადების პერიოდად გამოიყენოს...

გორის „დილა“ ტრადიციას არ ღალატობს. მართლაც რომ თავისებურ, ორიგინალურ გუნდს, როგორც ყოველთვის, საბანი არ სწვდება ბოლომდე, თორემ... „ტორპედოსთან“ სტუმრად 0:2-ის „ამოქაჩვამაც“ დაგვანახვა გორელთა პოტენციალი, რომელიც ყოველწლიურად იკვებება ადგილობრივი სკოლის აღზრდილი ნიჭიერი ბიჭებით. გორელთა პირველ წრეში გამოსვლამ ცხადყო — უპრობლემოდ შევა „დილა“ განახევრებული ქულებიანთა ზედა რვა კლუბის მარაქაში, მაგრამ იქ რას მოიმოქმედებს, ღმერთმა უწყის, ვის დატორავს და ვის დაუგორდება მშიერი თუ მოთვინიერებული მაძღარი დათვივით, გამოუცნობია.

„ტორპედოს“ მერე „დილა“ ერთადერთი გუნდია „ბ“ ზონაში, რომელსაც ბურთების დადებითი სხვაობა აქვს და შინ არც ერთი მატჩი არ წაუგია. პირველი წრის შუაში გორელებმა მწვრთნელის გამოცვლაც მ...ასწრეს. მეოთხე ტურში რუსთავში 0:2-ით დამარცხების შემდეგ წყალი შეუდგა მერაბ ხუციშვილს. თუმცა მისი განთავისუფლება უცნაურად მოხდა — იგი „ხობთან“ შინაური შეხვედრის დაწყებამდე 2 საათით ადრე გაუშვეს და მის პოსტზე ივანე თაყაძე დააბრუნეს. სტუმრად ორბურთიან წაგებას ვერც თაყაძის „დილა“ ასცდა, გორელებმა „სინათლეზე“ მეტად უფერულად ითამაშეს და პირველი წრე მინორულ ნოტაზე დაამთავრეს.

| «ბ» ზონა | | | | | | | | | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | გუნდები | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ტორპედო | | 4:1 | 2:2 | | | | 3:1 | | 7 | 6 | 1 | 0 | 18:5 | 13 | 19 | 3 | 2 | 1 | 0 | 9:4 | 5 | 7 | 4 | 4 | 0 | 0 | 9:1 | 8 | 12 |
| 2 | კოლხეთი | | | | 1:0 | 2:0 | 1:0 | | 2:3 | 7 | 4 | 0 | 3 | 9:11 | -2 | 12 | 4 | 3 | 0 | 1 | 6:3 | 3 | 9 | 3 | 1 | 0 | 2 | 3:8 | -5 | 3 |
| 3 | დილა | | 3:0 | | 2:0 | | 1:1 | | 1:0 | 7 | 3 | 2 | 2 | 10:8 | 2 | 11 | 4 | 3 | 1 | 0 | 7:1 | 6 | 10 | 3 | 0 | 1 | 2 | 3:7 | -4 | 1 |
| 4 | იბერია | 0:3 | | | | 1:0 | | 1:1 | 2:1 | 7 | 2 | 2 | 3 | 5:9 | -4 | 8 | 4 | 2 | 1 | 1 | 4:5 | -1 | 7 | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | -3 | 1 |
| 5 | გორდა | 0:2 | | 2:0 | | | | 0:0 | 4:1 | 7 | 2 | 1 | 4 | 6:7 | -1 | 7 | 4 | 2 | 1 | 1 | 6:3 | 3 | 7 | 3 | 0 | 0 | 3 | 0:4 | -4 | 0 |
| 6 | თსუ | 0:2 | | | 1:1 | 1:0 | | | | 7 | 1 | 4 | 2 | 4:6 | -2 | 7 | 3 | 1 | 1 | 1 | 2:3 | -1 | 4 | 4 | 0 | 3 | 1 | 2:3 | -1 | 3 |
| 7 | მერანი | | 1:2 | 3:1 | | | 1:1 | | | 7 | 1 | 4 | 2 | 8:9 | -1 | 7 | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 1 | 4 | 4 | 0 | 3 | 1 | 3:5 | -2 | 3 |
| 8 | ხობი | 1:2 | | | | | 0:0 | 1:1 | | 7 | 1 | 2 | 4 | 7:12 | -5 | 5 | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | -1 | 2 | 4 | 1 | 0 | 3 | 5:9 | -4 | 3 |

# სამართლიანი თამაშისა და ჯენტლმენური პრინციპების დამკვიდრებისთვის

12 ოქტომბერს სფფ-ში გაიმართა ფეარ-ფლეის კომისიის მეორე სხდომა, რომელზეც ქართულ ფეხბურთში მიდამოძიებული სამართლიანი და ჯენტლმენური საქციელები განიხილეს.

კომისიის სამუშაო ჯგუფი შვიდი წევრისგან შედგება. ამათგან ხუთი ფედერაციის მოხელეები — სფფ-ს პრესატაშე მამუკა კვარაცხელია (თავმჯდომარე), საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტის ინსპექტორი გია ისიანი, საშეჯიბრო კომიტეტის ინსპექტორები — მერაბ იაშვილი და მალხაზ ლაცაბიძე და სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის უფროსი ინსპექტორი შოთა ხინჩაგაშვილი — არიან, ორიც — ჟურნალისტი.

კომისიის მეორე სხდომაზე ხაზი გაესვა იმას, რომ ფეარ-ფლეის პრინციპი საფუძველში შეიცავს მხოლოდ ღირსეული საქციელის წახალისებას და არა, ვთქვათ, არაჯენტლმენური ქცევის გამო საჯარიმო ქულების დარიცხვას. ამიტომაც, ახლაც და მომავალშიც ფეარ-ფლეის კომისია იმსჯელებს ძირითადად იმ კარგზე, რაც ჩვენში ხდება. — ჩვენი საქმიანობის საგანი არ უნდა გახდეს ნაკლოვანებანი, ეს სადისციპლინო-ტექნიკური კომიტეტის სფეროა — ითქვა სხდომაზე.

აღსანიშნავია, რომ სფფ-ს მესვეურებთან შეთანხმებით დაწესებულია მეტად და მეტად სოლიდური ჯილდოები — სამართლიანი და ჯენტლმენური საქციელებით თავგამოჩენილი პიროვნებებისთვის. დაჯილდოვდებიან როგორც ცალკეული ფეხბურთელები, ასევე გუნდიც, მწვრთნელიც, პრეზიდენტიც... მთავარია, მათი საქციელი „ჯდებოდეს" ფეარ-ფლეის ჩარჩოებში.

დაჯილდოება მოხდება სეზონის ბოლოს, იმ ბანკეტზე, სადაც ტრადიციულად ეროვნული ჩემპიონატის პრიზიორი გუნდებისთვის მედლების გადაცემა ხდება.

ახლა კი იმათზეც, ვინც თავი გამოიჩინა და ფეირ პლეის კომისიის ყურადღება მიიპყრო. მკითხველის გასაგონად წინასწარ ვიტყვით: კომისიის წევრები მოქმედებენ შეფასების რვაბალიანი სისტემით.

1. ხუთი ქულით შეფასდა „ტორპედოს" მესვეურთა საქციელი. ქუთაისელებმა რუსთავის „გორდას" თავიანთი ბურთები დაუთმეს სავარჯიშოდ.

2. ოთხქულიანი შეფასება მისცეს „ბათუმის" მწვრთნელ ჯანი კარნევალეს, რომელმაც საჯაროდ გადაუხადა მადლობა „ვიტ. ჯორჯიას" ფეხბურთელებს და კარგი თამაშიც მიულოცა.

3. ექვსი ქულით შეფასდა „ცხინვალის" საქციელი. გუნდმა მეტოქეს („მრეტებს") ნახევარ საათზე მეტი მოუცადა, თუმცა თხუთმეტი წუთის შემდეგ სრული უფლება ჰქონდა, არ დალოდებოდა. ყველა შემთხვევაში მოგება ჩაეთვლებოდა.

4. ოთხი ქულით შეაფასეს ვიტჯორჯიელი მაზიაშვილის საქციელი, მან ძირითად შემადგენლობაში თავის უშუალო კონკურენტს საკუთარი ბუცი აჩუქა.

5. ოთხ-ოთხი ქულა ჩაიწერეს საფეარპლეო აქტივში „ვიტ ჯორჯიამ" და „თბილისმა", რომლებმაც მიუხედავად ახალგაზრდულ ნაკრებში ორზე მეტი ფეხბურთელის მივლინებისა, გაითვალისწინეს სფფ-ს თხოვნა და თამაშები არ გადადეს.

6. ექვსი ქულით შეფასდა „ვიტ ჯორჯიის" მესვეურთა საქციელი, რომელთაც გაფიცულ „არსენალს" ლამის საათი მოუცადეს და თამაში არ ჩაშალეს.

7. იგივე შეფასება (6 ბალი) დაიმსახურა იგივე მიზეზით რუსთავის „გორდამ". რუსთაველები სამტრედიის „იბერიას" ელოდნენ ოც წუთს.

8. ჯერჯერობით სარეკორდოდ, 7 ბალით შეფასდა ზესტაფონის „მარგვეთის" ხელმძღვანელობის მოქმედება, რომლებიც თანახმანი გახდნენ, თავად გადაეხადათ მეტოქის, ვანის „სულორის" დავალიანება, ოღონდ კი თამაში არ ჩაშლილიყო. აღსანიშნავია, რომ ის თამაში ვანში გაიმართა.

ჯერჯერობით სულ ეს არის. გარდა ზემოჩამოთვლილისა, კომისიას გააჩნია ხუთიოდ ფაქტიც. ისინი შესწავლის პროცესშია. ქართველთა ვაჟკაცური, რაინდული (და ასე) ბუნებიდან გამომდინარე, იმედია, კიდევ მოიძებნება მსგავსი შემთხვევები. ჯერჯერობით კი „ვიტ ჯორჯია" აშკარა ლიდერია.

მაშ ასე, ითამაშეთ ფეხბურთი, იყავით ჯენტლმენები, სამართლიანები და...

ბანკეტი და ხვალეო... ყველაფერი იქ გამოჩნდება.

ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲒᲝᲒᲘᲨᲕᲘᲚᲘ

# უკრაინულ ნივას ქართველები მართავენ

ტერნოპოლის „ნივამ" უკრაინის ჩემპიონატის მეშვიდე ტურის გადადებულ შეხვედრაში ლიდერ კრივოი როგის „კრივბასს" უმასპინძლა. მატჩი ფრედ — 3:3 დასრულდა.

მასპინძელთაგან სამივე გოლი ქართველმა ლეგიონერებმა გაიტანეს. 43-ე წუთამდე „ნივა" 0:2-ს აგებდა, მაგრამ ავთანდილ კაპანაძემ ჯერ მინიმუმამდე შეამცირა სხვაობა, 55-ე წუთზე კი სულაც გაათანაბრა ანგარიში. აღსანიშნავია, რომ ავთანდილ კაპანაძემ ორივე გოლი თავისი ტყუპისცალი ძმის — ტარიელის პასებით გატიანა. „კრივბასი" მალე ისევ დაწინაურდა, თუმცა დროებით, ავთანდილ სიხარულიძის მიერ 85-ე წუთზე გატანილმა გოლმა „ნივას" მნიშვნელოვანი ქულა მოუტანა, სტუმრებს კი ასევე მნიშვნელოვანი ორი ქულა დააკარგვინა.

სიხარულიძემ წინა მატჩშიც გამოიჩინა თავი. „პრიკარპატიესთან" 3:1 მოგებულ შეხვედრაში მან მესამე გოლი გაიტანა და ეს მაშინაც თამაშიის მიწურულს მოახერხა.

შეგახსენებთ, რომ ამ სამი ქართველის გარდა ტერნოპოლის გუნდში კიდევ ორი ჩვენი თანამემამულე თამაშობს — კაიდარაშვილი და გვიანიძე.

„ნივა" ამჟამად უკრაინის ჩემპიონატში მეთორმეტე ადგილზე იმყოფება, თუმცა თითქმის ყველა კონკურენტზე ერთი მატჩით მეტი აქვს ჩატარებული. მომავალ ტურში ტერნოპოლელები მეათე ადგილზე მყოფ მარიუპოლის „მეტალურგს" სტუმრობენ.

ᲕᲐᲜᲝ ᲝᲥᲠᲝᲞᲘᲠᲘᲫᲔ

# როილი კახა ცხადაძის დაბრუნებას ელის

ᲒᲣᲨᲘᲜ ინგლისის პირველი დივიზიონის „მანჩესტერ სიტის" მენეჯერმა ჯო როილმა ისევ წამოიწყო საუბარი ქართველი მცველის, კახა ცხადაძის დაბრუნების თაობაზე.

დივიზიონის ლიდერ „სიტის" ბოლო ტურებში დაცვაში სერიოზული პრობლემები ჰქონდა. მანჩესტერელებმა 10 ტურში 10 ქულა დაკარგეს, ამიტომაც, როილის აზრით, ცხადაძის მალე მომჯობინება კლუბისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

კახა ცხადაძე გასული წლის 14 აგვისტოდან დამტვრეულა. იგი „ფულემთან" შეხვედრისას დაშავდა. თუმცა სამ კვირაზე მეტია, ქართველი „სიტის" სარეზერვო კლუბში რეაბილიტაციის პროცესს წარმატებით გადის.

„მაქსიმუმ ორ კვირაში, შეიძლება უფრო ადრეც, „პიპო" (ასე ეძახიან თურმე მანჩესტერში ცხადაძეს) „სიტის ძირითადში გამოჩნდება" — აღნიშნა როილმა.

„სიტი", რომელიც პრემიერლიგაში დაბრუნებას გეგმავს, 10 ტურის შემდეგ 19 ქულით დივიზიონის ერთ-ერთი ლიდერია „ჩარლტონთან" და „ფულემთან" ერთად. თუმცა „ჩარლტონს" 8 თამაში აქვს ჩატარებული. „ფულემს" კი — 9. „სიტის" პოტენციურად უსწრებს მე-5 ადგილზე მყოფი „იფსვიჩიც", რომელსაც 9 მატჩიდან 17 ქულა აქვს.

მომავალ ტურში მანჩესტერელები „ტრანმერს" ეთამაშებიან, რომელიც 8 ქულით აუტსაიდერია.

ᲡᲘᲛᲝᲜ ᲛᲔᲜᲐᲑᲓᲔ



კახა ცხადაძე

# მთავარი საჩუქარი — ზაზა ჯანაშია

## ზაზამ თავი გაიტეხა, სახელი კი კვლავაც ძველი აქვს



ზაზა ჯანაშიას თავშეხვეულსაც უთამაშია

ᲛᲐᲢᲩᲘᲡ 64-ე წუთზე კრასნოდარელმა მსაჯმა იური ჩებოტარევმა სანკტ პეტერბურგის „ლოკომოტივი" — მოსკოვის „ლოკომოტივის" სათასო თამაში შეაჩერა. მოსკოველთა მთავარი მწვრთნელი იური სიომინი სათადარიგოთა სკამიდან წამოხტა და მინდორზე შეიჭრა (მას ტელევიზიის კამერიანი ოპერატორიც მიჰყვა). სიომინი თავისი გუნდის საჯარიმო მოედნისკენ გაიქცა, სადაც ორი ფეხბურთელი წაქცეულიყო და ტკივილისგან იკლაკნებოდა. ერთი პეტერბურგელთა კაპიტანი მიხაილ მატვეევი გახლდათ, მეორე კი მოსკოველი ზაზა ჯანაშია. ქართველი თავდამსხმელი (მაშინ, როცა მოსკოველები 4:0-ს იგებდნენ !) საჯარიმოში მცველთა დასახმარებლად ჩავიდა და ბურთის მოსაგერიებლად ჰაერში ახტა, რაც საკმაოდ ძვირად დაუჯდა. შეჯახება იმდენად ძლიერი იყო, რომ სტადიონზე მყოფმა სასწრაფო მანქანის მძღოლმა უმალ მანქანა დაქოქა და სიომინის მსგავსად, მინდორზე შესვლა (ოღონდ ავტომობილით) განიზრახა, თუმცა ჩებოტარუ „ვოლგას" წინ აღუდგა. საბოლოოდ მატვეევი თანაგუნდელებმა მიიყვანეს სასწრაფომდე, ჯანაშიას კი ექიმებმა უწამლეს, თუმცა თავშეხვეულმა ზაზამ მატჩის გაგრძელება ვეღარ შეძლო. გუნდებიც ათ-ათი კაცით დარჩნენ მინდორზე, რადგან გივი ნოდიასაც და იური სიომინსაც სამი შეცვლა უკვე გაეკეთებინათ. თამაში მოსკოველებმა 5:1 მოიგეს.

მატჩის შემდეგ მწვრთნელებს კომენტარი სთხოვეს. სიომინმა, რომელმაც იმ დღეს რეგლამენტიც დაივიწყა, მსაჯებიც და ჯანაშიას ტრავმის შემხედვარე მინდორზე შეიჭრა, ეს თქვა: „ძალიან დამამწუხრა ჯანაშიას ტრავმამ, წინ ურთულესი და უმნიშვნელოვანესი თამაშები გველის, რომელშიც შესაძლოა ზაზამ ვერ ითამაშოს. ახლახან გამოჯანმრთელებულმა ბულიკინმა კარგად კი ითამაშა, მაგრამ ჩემი უმთავრესი სადარდებელი ზაზა ჯანაშიაა".

ეს ყველაფერი თამაშის დღეს ითქვა. გუშინ კი სააგენტო „როიტერმა" ახალი ინფორმაცია გაავრცელა — ჯანაშიას თავზე შვიდი ნაკერის დადება დასჭირდა, იგი ხვალ „სპარტაკთან" ვერ ითამაშებს. თუმცა... „მისი ხასიათი რომ ვიცი, იქნებ შეუძლებელიც შეძლოს და ხვალ მაინც ითამაშოს. ეს თუ არ მოხდა, მაშინ დარწმუნებით ვიტყვი, რომ ზაზა მომავალ კვირაში ინგლისურ „ლიდსთან" უეფას თასის შეხვედრას მზადყოფნაში შეხვდება" — განაცხადა იური სიომინმა, რომელსაც ჯანაშიას ხასიათი მართლაც კარგად (შეიძლება ყველაზე კარგადაც) მოეხსენება.

ითამაშებს თუ არა მოსკოვის „სპარტაკთან" ზაზა ჯანაშია, ეს, ალბათ, ხვალ, უშუალოდ მატჩის წინ გადაწყდება. არადა, ხვალინდელ შეხვედრაში ფაქტობრივად ჩემპიონის ბედი წყდება. შეგახსენებთ, „სპარტაკს" მეორე ადგილზე მყოფი „ლოკომოტივი" ექვსი ქულით ჩამორჩება, თუმცა ერთი თამაშით ნაკლები აქვს ჩატარებული. ამ შეხვედრის მნიშვნელობა აქედანაც კარგად ჩანს.

ასე რომ, ხვალ მოსკოვში მნიშვნელოვანი მატჩია — „ლოკომოტივი" — „სპარტაკი". ისე, ამ მატჩში ზაზას მინდორზე ყოფნა-არყოფნას რუსი სპეციალისტები დიდ ყურადღებას აქცევენ. ბევრი იმასაც ამბობს, თუ ჯანაშია ითამაშებს...

ᲕᲐᲜᲝ ᲝᲥᲠᲝᲞᲘᲠᲘᲫᲔ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მხოლოდ და მხოლოდ შთაბეჭდილებანი

## ესპანეთი

VII ტური

### ბარსელონა 2:2 რეალი

0:1 რაული (26), 1:1 რივალდო (28), 2:1 ფიგუ (49), 2:2 რაული (86)
ბარსელონა: ჰესპი, სერხი (პუიოლი 38), აბელარდო, რაიციგერი, ლუის ენრიკე, გვარდიოლა, კოკუ, კლუივერტი, რივალდო, ფიგუ (რ. დე ბური 90), ზენდენი
რეალი: ილგნერი, კარანკა (ზეედორფი 60), ხულიო სეზარი, ივან კამპო, მიჩელ სალგადო, სავიო, რედონდო, ხერემი, ანელკა, მორიენტესი (გუტი 77), რაული
გაფრთხილება: რაიციგერი, სერხი, რედონდო, გვარდიოლა, ხულიო სეზარი, სავიო, ფიგუ
გაძევება: კლუივერტი (56)
მსაჯი: დიას ვეგა

### სევილია 3:0 ბეტისი

1:0 კევედო (1), 2:0 ხუან კარლოსი (75), 3:0 ლორენი (90)
სევილია: ვალენსია, ნანდო, ტაბარე, პიბიჩი, მარჩენა, ფრანსისკო, კევედო, ცარტასი (ანხელი 87), პოდესტა, ოტერო (მოია 69), ხუან კარლოსი (ლორენი 83)
ბეტისი: ტონი პრატსი, კარშანი, ბორნესი, ფილიპესკუ, ხორხე ოტერო, დენილსონი, ფინიდი, რომერო, ალექსისი (ლუის ფერნანდესი 68), ოლი (ბენჟამინი 46), ალფონსო
გაფრთხილება: ვალენსია, რომერო, ხორხე ოტერო, ბენჟამინი, ალფონსო, ოტერო, ფრანსისკო, პოდესტა, ტონი პრატსი, ლორენი
გაძევება: მოია (88), ბორნესი (88)
მსაჯი: პერეს ლასა

### მალაგა 3:4 ბილბაო

0:1 ალკორტა (21), 1:1 ედგარი (27), 2:1, 3:1 კატანია (48პ, 60), 3:2, 3:3 ლაკრუსი (73, 88), 3:4 ხ. ეჩებერია (93)
მალაგა: კონტრერასი, ვალკარსი, ლარაინსარი, როტეტა, აგოსტინო (ზარატე 81), სანდრო, მოვილა, რუფეტი, რუანო, კატანია, ედგარი (დარიო სილვა 75)
ბილბაო: ი. ეჩებერია, ხოსე მარი (ურუტია 65), ლაკრუსი, ფელიპე, პაჩი ფერეირა, ალკორტა, ხავი გონსალესი (ხ. ეჩებერია 59), ედუ ალონსო, ალკისა, სივორი (ტიკო 52), ესკერო
გაფრთხილება: ზარატე, სანდრო, პაჩი ფერეირა, ხავი გონსალესი
მსაჯი: პუენტეს ლეირა

### ოვიედო 1:1 ვალიადოლიდი

1:0 დელი ვალდესი (16), 1:1 როდრიგო (69)
ოვიედო: ესტებანი, ბორისი, დანჟუ, ონოპკო, პაულო ბენტუ, ნადი (რაბარივონი 85), პომპეი, ესკურსა (ამიევა 74), დელი ვალდესი, ლოსადა (ივანი 71), დუბოვსკი
ვალიადოლიდი: სესარი, მარკოსი, გარსია კალვო, პენა, სანტამარია, ვისკაინო (ჩემა 46), არილსონი (ალბერტო 46), აროლდ ლოსანო, ეუსებიო, როდრიგო (ტურიელი 82), ვიქტორი
გაფრთხილება: დელი ვალდესი, ლოსადა, პაულო ბენტუ, როდრიგო, დანჟუ, გარსია კალვო, აროლდ ლოსანო, ივანი
მსაჯი: სევილია

### სოსიედადი 2:5 რასინგი

1:0 ბონილია (3), 1:1 მუნიტისი (47), 1:2, 1:3, 1:4 სალვა (63, 67, 75), 2:4 ანტია (84), 2:5 სალვა (86)
სოსიედადი: ალვარესი, ლორენი, ლოპეს რეკარტე (ანტია 60), პიკაბეა, ფუენტესი, დე პედრო, არამბურუ (დე პაულა 60), გომესი, სა პინტუ, ბონილია (ალდეონდო 71), იდიაკესი
რასინგი: სებალოსი, ნერუ, არსენო, ტაისი, მელბერგი, ბილაბონა, ვივარ დორადო, ესპინია (ისმაელი 86), სალვა, ამავისკა (ჩემა 86), მუნიტისი
მსაჯი: ბრიტო არსეო

### მალიორკა 2:2 დეპორტივო

0:1, 0:2 პაულეტა (49, 58), 1:2 კინტეროსი (81), 2:2 სტანკოვიჩი (94პ)
მალიორკა: ბურგოსი, ოლაიზოლა, ნადალი, მიგელ სოლერი, ხივიერო, ჩიჩი სოლერი (კინტეროსი 76), სერისუელა (იბაგასა 53), ი. სტანკოვიჩი, ლორენი, დიეგო, კარლოსი (კარერასი 46)
დეპორტივო: სონგო, მანუელ პაბლო, რომერო, ნაიბეტი, სესარი (შურერი 67), ჯალმინია (იოკანოვიჩი 65), ფერნანდო, მაურო სილვა, ფლავიო კონსეისაო, პაულეტა, ვიქტორი (დონატო 83)
გაფრთხილება: დიეგო, კარლოსი, ოლაიზოლა, მანუელ პაბლო, ფერნანდო
გაძევება: შურერი (92)
მსაჯი: კარმონა მენდესი

### ვალენსია 4:0 ნუმანსია

1:0, 2:0 ილიე (30, 51), 3:0, 4:0 ფარინოსი (68, 89)
ვალენსია: პალოპი, კარბონი, პელეგრინო, ბიორკლუნდი, ანგლომა, ხერარდი, კილი გონსალესი (ოსკარი 83), ალბელდა, მენდიეტა (ფარინოსი 67), კლაუდიო ლოპესი, ილიე (ანგულო 71)
ნუმანსია: ნუნიესი, პოპესკუ, ოქტავიო, ბელსუე, მუნისი, ელედერი, მორანი (ბარბუ 46), ნაგორე, კასტანიო, პაჩეტა, რუბენ ნავარო (მორალესი 46)
გაფრთხილება: ალბელდა, ფარინოსი, ანგულო, ხერარდი, ილიე, კასტანიო, ოქტავიო, მუნისი, ბელსუე
მსაჯი: ანდრეუ

### სელტა 2:1 სარაგოსა

0:1 მილოშევიჩი (28), 1:1 კასერესი (36), 2:1 მოსტოვოი (54)
სელტა: დუტრუელი, ჯოროვიჩი, ველასკო, კასერესი, მოსტოვოი, კარპინი (კაირესი 89), მაკელელე, სელადესი, ხუანფრანი, ბენი მაკკარტი (ტურდო 75), რევივო (ტომასი 68)
სარაგოსა: ხუანმი, სუნდგრენი, პაკო, აგუადო, პაბლო, ხოსე იგნასიო, ელგუერა, აკუნია, მილოშევიჩი (ჯორდი 45), ხუანელე (კუარტერო 45), ველისკა (ჟამელი 79)
გაფრთხილება: კარპინი, სელადესი, კასერესი, ჯორდი, მილოშევიჩი, ელგუერა, აგუადო
გაძევება: აგუადო (35)
მსაჯი: ტორესი

### ატლეტიკო 1:0 ალავესი

1:0 ჰასელბაინკი (77)
ატლეტიკო: მოლინა, გასპარი, სანტი (ბეიბლი 64), კაპდევილა, შამოტი, გამარა, უგო ლეალი, ვალერონი (სოლარი 72), ბარახა, ჰასელბაინკი, ხოსე მარი (კორეა 68)
ალავესი: ერერა, ტორეს მესტრე, ტელიესი, კარმონა, კონტრა, ნან რივერა (მაგნო 61), პაბლო, დესიო, კოდრო (ხულიო სალინასი 78), ხავი მორენო (მორალესი 50), ასტუდილიო
გაფრთხილება: ხოსე მარი, პაბლო, სანტი, დესიო, ბარახა, ტელიესი, კაპდევილა
მსაჯი: ხალინდო

### რაიო ვალეკანო 2:1 ესპანიოლი

1:0 ერნანდესი (48), 2:0 კანაბალი (83), 2:1 ველამასანი (86)
რაიო ვალეკანო: კელერი, ლორენსი (მიჩელ II 83), ფერონი (კლოტე 60), ერნანდესი, ალკასარი, კოტა, ესტიბარისი, სემბრანოსი, პოშნერი, ბოლო, მიჩელ I (კანაბალი 46)
ესპანიოლი: კავალიერო, პოჩეტინიო, როჩენი, კრისტობალი, როხერი (მარტინ პოსე 56), დე ლუკასი (ველამასანი 46), არტეაგა, გალკა, მაურო ნავასი, ბენიტესი, ტამუდო (კასარტელი 79)
გაფრთხილება: ერნანდესი, ალკასარი, სემბრანოსი, კლოტე, ფერონი, როჩენი, დე ლუკასი, კოტა
გაძევება: კოტა (87)
მსაჯი: სანჩესი



REUTERS

ბარსელონა — რეალი 2:2. პატრიკ კლუივერტი და ხულიო სეზარი

ბარსელონის „კამპ ნოუზე" ესპანური სეზონის უდიდესი მატჩი გაიმართა — ასე ან დაახლოებით ასე უნდა იწყებოდეს, ალბათ, პრიმერადივიზიონის მეშვიდე ტურის მიმოხილვა, რომლის მთავარი შეხვედრა „ბარსელონა" — „რეალი" გახლდათ, მაგრამ, თუ არ გვიწყენთ, სტადიონის ქვედა იარუსის პირველი რიგიდან დავიწყოთ.

ეს რიგი ამჯერად იმითაა საინტერესო, რომ „რეალის" უელსელი მწვრთნელი, ჯონ ტოშაკი შეხვედრას თვალს იქიდან ადევნებდა. ტოშაკი დისკვალიფიცირებული გახლდათ და ჩვეულ ადგილზე ჯდომა აკრძალული ჰქონდა, ტრიბუნაზე, ანუ თეორიულად გუნდისგან შორს უნდა ყოფილიყო. „რეალის" საბედნიეროდ, „კამპ ნოუ" ისეა მოწყობილი, რომ სათადარიგოთა სკამების მხარეს, პირველ რიგში მყოფი ადამიანი ამ სკამებზე ჩამომსხდართ ხმას მიაწვდენს, ხოლო თუ იქედან ვინმე წამოდგება და მიუახლოვდება, როგორც ჩანს, შეუძლია მუსაიფიც გაუბას. ტოშაკმაც, მასპინძელთა დიდსულოვნებითა და ამ არქიტექტურული ნიუანსით ისარგებლა, რის შედეგადაც, შეიძლება ითქვას, რომ „რეალმა" თითქმის მთავარი მწვრთნელის ხელმძღვანელობით ჩაატარა სეზონის ერთი უმთავრესი შეხვედრათაგანი.

მოკლედ, როდესაც არსებობს წესი, აუცილებლად არსებობს მისთვის გვერდის ავლის ან მხოლოდ ფორმალურად დაცვის მექანიზმიც და კიდევ, აუცილებლად არსებობს განსხვავება დიდ და წვრილმან ბუნებას შორის. სადმე სხვა ქალაქში ან ქვეყანაში ტოშაკი შეიძლება ქვედა რიგში არც დაესვათ.

...რივალდო დიდი ფეხბურთელია, ფიგუ დიდი ფეხბურთელია. რაული? თქვენი არ ვიცი და, ჩვენ ხშირად გვსმენია, რომ მადრიდის „რეალისა" და ესპანეთის ნაკრების ფორვარდი ისეთიც არაფერია, როგორც აქებენ. საინტერესო თემაა, რომლის გამოც, „ბარსელონა" — „რეალის" ამ შეხვედრის შთაბეჭდილებით შეიძლება ითქვას, რომ მოყვანილი აზრი მართალი არ უნდა იყოს. რაულმა „კამპ ნოუზე" ისე ითამაშა, როგორც დიდ ფეხბურთელს შეშვენის და ეს, მის გადაადგილებებს, ბურთის ფლობას და სხვა დეტალებს თავი რომ დავანებოთ, ორი გოლითაც ჩანს.

„კამპ ნოუზე", უპრინციპულეს შეხვედრაში, ორი გოლის გატანა ძლიერთა ხვედრია. ამას მტკიცე ნერვები, საკუთარი თავის რწმენა, საოცარი ოსტატობა სჭირდება. აქ ერთი უცნაური მაგალითის მოტანა გვსურს: პირველ ტაიმში იყო ეპიზოდი, როდესაც რაულმა დინამიკაში, საოცრად სწრაფად, ქუსლით გაისწორა ბურთი და საჯარიმოში ხელსაყრელ პოზიციაში აღმოჩნდა. მას უნდა დაერტყა, რომ დაერტყა, გოლის გატანის შანსი ძალიან დიდი იქნებოდა, მაგრამ მან ეპიზოდის კიდევ ერთი გაგრძელება შენიშნა და საჯარიმოს მარჯვენა კიდისკენ პარტნიორს პასი გადააწოდა. პარტნიორმა ვერ მოახერხა მხარის აბმა, ამიტომაც შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ რაულმა უხეში სიტყვისთვის ბოდიში და სისულელე გააკეთა...

ზემოთ ოთხივე გოლის ავტორი ჩამოვთვალეთ და დიდი მოთამაშეები ვუწოდეთ. ისიც აღვნიშნეთ, რომ სტუმართაგან ორივე — შეხვედრის პირველი და ბოლო გოლები — რაულმა გაიტანა. მასპინძელთა პირველი გოლი კი რივალდომ შეაგდო. კიდევ ერთხელ გვინდა ხაზი გავუსვათ, რომ რივალდოს, ისევე როგორც რაულსა და ფიგუს, მხოლოდ კარში შედეგიანი დარტყმისთვის არ ვაქებთ. რივალდო იმ დღეს „ბარსას" გული იყო, აწვდიდა ჩინებულ პასებს, ავიწროებდა და თრგუნავდა სტუმართა მცველებს. გოლის დროს კი კლუივერტმა გაუწია დიდებული ასისტენტობა. კლუივერტმა „რეალის" კართან ძალიან ახლოს მცველთან ორთაბრძოლასაც გაართვა თავი, ბურთიც შეინარჩუნა და რივალდოსაც დიდოსტატურად დაუგორა.

ფიგუმ მეორე ტაიმის დასაწყისში დააწინაურა მასპინძლები. იგი სწრაფად დაიძრა მოწინააღმდეგის კარისკენ და როდესაც საჯარიმოს მიუახლოვდა — მეურვე ჩამოტოვებული ჰყავდა — შენიშნა, რომ ერთადერთი სწორი გაგრძელება კარში დარტყმა იყო. პორტუგალიელმა, რომელიც მოწინააღმდეგეებს მთელი შეხვედრის განმავლობაში საოცარ პრობლემებს უქმნიდა, დარტყმაც უზადოდ შეასრულა.

...ხოლო კლუივერტი რომ არ გაეძევებინათ, „ბარსელონას" შეიძლებოდა მოეგო. კლუივერტმა — კიდევ ერთხელ გიხდით ბოდიშს იმავე სიტყვისთვის — სისულელე ჩაიდინა. ერთ-ერთ, აბსოლუტურად ჩვეულებრივ ეპიზოდში ჯარიმის დანიშვნისა თუ არდანიშვნის გამო მსაჯს, დიას ვეგას აგინა.

მეშვიდე ტურში, სრულიად ესპანურის გარდა, სევილიური დერბიც გაიმართა: „სევილიამ" „ბეტისს" 3:0 მოუგო, მაგრამ შეიძლება ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ სერიოზულად დასაჯოს.

საქმე ის გახლავთ, რომ მეოთხე მსაჯმა შეხვედრის დროს მოედანზე... დანა შენიშნა.

„სევილიამ" ამ სეზონში მაყურებლის გამო უკვე მოიხადა ერთმატჩიანი სასჯელი, ხვალ, კი მეორესაც რომ გამორჩეს, არ უნდა გაუკვირდეს.

**მიხეილ სურგულაძე**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ბარსელონა | 7 | 5 | 1 | 1 | 16:6 | 10 | 16 | 4 | 3 | 1 | 0 | 11:3 | 8 | 10 | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 2 | 6 |
| 2 | რაიო ვალეკანო | 7 | 5 | 1 | 1 | 10:5 | 5 | 16 | 4 | 3 | 0 | 1 | 6:4 | 2 | 9 | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 3 | 7 |
| 3 | სელტა | 7 | 5 | 0 | 2 | 9:5 | 4 | 15 | 4 | 3 | 0 | 1 | 5:3 | 2 | 9 | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 2 | 6 |
| 4 | დეპორტივო | 7 | 3 | 3 | 1 | 12:8 | 4 | 12 | 3 | 2 | 0 | 1 | 6:3 | 3 | 6 | 4 | 1 | 3 | 0 | 6:5 | 1 | 6 |
| 5 | ესპანიოლი | 7 | 4 | 0 | 3 | 11:11 | 0 | 12 | 3 | 3 | 0 | 0 | 8:4 | 4 | 9 | 4 | 1 | 0 | 3 | 3:7 | -4 | 3 |
| 6 | სარაგოსა | 7 | 3 | 2 | 2 | 9:5 | 4 | 11 | 3 | 2 | 1 | 0 | 7:1 | 6 | 7 | 4 | 1 | 1 | 2 | 2:4 | -2 | 4 |
| 7 | რასინგი | 7 | 3 | 2 | 2 | 13:11 | 2 | 11 | 3 | 0 | 2 | 1 | 4:5 | -1 | 2 | 4 | 3 | 0 | 1 | 9:6 | 3 | 9 |
| 8 | რეალი | 7 | 2 | 4 | 1 | 14:11 | 3 | 10 | 3 | 1 | 1 | 1 | 7:5 | 2 | 4 | 4 | 1 | 3 | 0 | 7:6 | 1 | 6 |
| 9 | ალავესი | 7 | 3 | 1 | 3 | 7:8 | -1 | 10 | 3 | 2 | 1 | 0 | 4:2 | 2 | 7 | 4 | 1 | 0 | 3 | 3:6 | -3 | 3 |
| 10 | მალაგა | 7 | 2 | 2 | 3 | 12:12 | 0 | 8 | 4 | 2 | 1 | 1 | 8:5 | 3 | 7 | 3 | 0 | 1 | 2 | 4:7 | -3 | 1 |
| 11 | ბილბაო | 7 | 2 | 2 | 3 | 11:12 | -1 | 8 | 3 | 1 | 1 | 1 | 5:5 | 0 | 4 | 4 | 1 | 1 | 2 | 6:7 | -1 | 4 |
| 12 | ვალიადოლიდი | 7 | 2 | 2 | 3 | 6:8 | -2 | 8 | 3 | 2 | 0 | 1 | 5:4 | 1 | 6 | 4 | 0 | 2 | 2 | 1:4 | -3 | 2 |
| 13 | ნუმანსია | 7 | 2 | 2 | 3 | 6:13 | -7 | 8 | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 1 | 5 | 4 | 1 | 0 | 3 | 3:11 | -8 | 3 |
| 14 | სევილია | 7 | 1 | 4 | 2 | 9:8 | 1 | 7 | 4 | 1 | 2 | 1 | 6:4 | 2 | 5 | 3 | 0 | 2 | 1 | 3:4 | -1 | 2 |
| 15 | მალიორკა | 7 | 2 | 1 | 4 | 10:10 | 0 | 7 | 4 | 2 | 1 | 1 | 8:5 | 3 | 7 | 3 | 0 | 0 | 3 | 2:5 | -3 | 0 |
| 16 | ვალენსია | 7 | 2 | 1 | 4 | 10:10 | 0 | 7 | 4 | 1 | 1 | 2 | 5:4 | 1 | 4 | 3 | 1 | 0 | 2 | 5:6 | -1 | 3 |
| 17 | სოსიედადი | 7 | 2 | 1 | 4 | 11:15 | -4 | 7 | 4 | 2 | 0 | 2 | 8:9 | -1 | 6 | 3 | 0 | 1 | 2 | 3:6 | -3 | 1 |
| 18 | ატლეტიკო | 7 | 2 | 1 | 4 | 7:12 | -5 | 7 | 4 | 2 | 0 | 2 | 4:4 | 0 | 6 | 3 | 0 | 1 | 2 | 3:8 | -5 | 1 |
| 19 | ოვიედო | 7 | 2 | 1 | 4 | 5:10 | -5 | 7 | 4 | 2 | 1 | 1 | 4:3 | 1 | 7 | 3 | 0 | 0 | 3 | 1:7 | -6 | 0 |
| 20 | ბეტისი | 7 | 2 | 1 | 4 | 3:11 | -8 | 7 | 3 | 2 | 1 | 0 | 2:0 | 2 | 7 | 4 | 0 | 0 | 4 | 1:11 | -10 | 0 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| სალვა (რასინგი) | 10 |
| კატანია (მალაგა) | 6 |
| დანი (ბარსელონა) | 5 |
| რივალდო (ბარსელონა) | 5 |

### VIII ტური

17 ოქტომბერი

სარაგოსა - მალიორკა
რასინგი - სელტა
ესპანიოლი - სოსიედადი
ალავესი - რაიო
ბეტისი - ატლეტიკო
ვალიადოლიდი - სევილია
რეალი - ოვიედო
ნუმანსია - ბარსელონა
ბილბაო - ვალენსია
დეპორტივო - მალაგა

## მეორე დივიზიონი

IX ტური

### ხეტაფე 1:0 უელვა

1:0 ფერნანდო (43)

### ლოგრონიესი 3:1 ოსასუნა

1:0 მანელი (32), 2:0 არენასა (57), 2:1 ალფონსო (85), 3:1 მანელი (93)

### სალამანკა 1:2 ატლეტიკო B

1:0 კიკე მარტინი (30), 1:1 კაინოსი (50), 1:2 რაულ მოლინა (81)

### ვილიარეალი 1:1 ლევანტე

1:0 ხერარდო (12), 1:1 სალინასი (20)

### ელჩე 1:3 ტენერიფე

0:1 პაბლო პასი (40), 1:1 ედუ გარსია (45), 1:2 სლოვაკი (63), 1:3 ბარატა (90)

### ესტრემადურა 0:0 კორდობა

### ბადახოსი 1:1 ტოლედო

0:1 მიგელ ანხელი (3), 1:1 ალექსი (87)

### ლეიდა 2:0 ლეგანესი

1:0 ესკუდა (57), 2:0 პაბლო სულოგა (71პ)

### ეიბარი 1:1 სპორტინგი

1:0 ოლანო (27), 1:1 ლედიახოვი (32)

### ალბასეტე 0:2 მერიდა

0:1 უნაი (48), 0:2 ტალი (82)

### ლას პალმასი 2:1 კომპოსტელა

1:0 ორლანდო (63), 1:1 მაურო (88), 2:1 სეკეროსი (94)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესტრემადურა | 9 | 6 | 2 | 1 | 11:6 | 20 |
| ლას პალმასი | 9 | 6 | 1 | 2 | 19:7 | 19 |
| სალამანკა | 9 | 5 | 3 | 1 | 13:7 | 18 |
| ლევანტე | 9 | 4 | 3 | 2 | 16:13 | 15 |
| ბადახოსი | 9 | 3 | 6 | 0 | 10:7 | 15 |
| ალბასეტე | 9 | 4 | 2 | 3 | 10:10 | 14 |
| ვილიარეალი | 9 | 3 | 4 | 2 | 11:9 | 13 |
| მერიდა | 9 | 3 | 4 | 2 | 10:8 | 13 |
| 829 | სენტ ლუისი — ტორონტო | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 830 | ვაშინგტონი — სან ხოსე | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 831 | ნიუ ჯერსი — აილენდერსი | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| 832 | პიტსბურგი — ჩიკაგო | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| 833 | ტამპა ბეი — ატლანტა | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| 834 | ფლორიდა — ანაჰაიმი | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| 835 | დეტროიტი — ფილადელფია | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| 836 | ნეშვილი — დალასი | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| 837 | ედმონტონი — ლოს ანჯელესი | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| 838 | კოლორადო — ოტავა | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 839 | კალგარი — ვანკუვერი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 840 | ფინიქსი — ბოსტონი | 1,6 | 4,4 | 2,7 |

17 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 841 | რეინჯერსი — ატლანტა | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| 842 | ფილადელფია — ბუფალო | 1,4 | 4,4 | 3,4 |

18 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 843 | მონრეალი — აილენდერსი | 1,7 | 4,4 | 2,4 |

### რაგბი. მსოფლიოს თასი. III ტური

15 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 844 | ინგლისი — ტონგა | 1,02 | 7,0 | 14,0 |
| | 0:30 | 1,7 | 15,0 | 1,7 |
| 845 | სამხრეთ აფრიკა — ურუგვაი | 1,01 | 7,0 | 20,0 |
| | 0:50 | 1,7 | 15,0 | 1,7 |
| 846 | ირლანდია — რუმინეთი | 1,05 | 7,0 | 9,0 |
| | 0:30 | 1,7 | 15,0 | 1,7 |

16 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 847 | საფრანგეთი — ფიჯი | 1,15 | 7,0 | 4,4 |
| 848 | შოტლანდია — ესპანეთი | 1,01 | 7,0 | 20,0 |
| | 0:40 | 1,7 | 15,0 | 1,7 |
| 849 | არგენტინა — იაპონია | 1,02 | 7,0 | 14,0 |
| | 0:25 | 1,7 | 15,0 | 1,7 |

## ფორმულა 1. XV ეტაპი. მალაზია

| მრბოლი | I ადგილი | სამეული | ექვსეული |
|---|---|---|---|
| ჰაკინენი (ფინეთი, მაკლარენი) | 1,7 | 1,2 | 1,1 |
| კულჰარდი (ბრიტანეთი, მაკლარენი) | 2,5 | 1,5 | 1,25 |
| ირვინი (ირლანდია, ფერარი) | 2,5 | 1,5 | 1,25 |
| ფრენცენი (გერმანია, ჯორდანი) | 5,0 | 1,8 | 1,3 |
| სალო (ფინეთი, ფერარი) | 15,0 | 3,0 | 1,5 |
| რ. შუმახერი (გერმანია, უილიამსი) | 20,0 | 4,0 | 1,8 |
| ბარიკელო (ბრაზილია, სტიუარტი) | 20,0 | 4,0 | 1,8 |
| ფიზიკელა (იტალია, ბენეტონი) | 20,0 | 4,0 | 1,8 |
| ჰილი (ბრიტანეთი, ჯორდანი) | 30,0 | 4,0 | 1,8 |
| ვილნევი (კანადა, ბარ) | 30,0 | 5,0 | 2,0 |
| ალეზი (საფრანგეთი, ზაუბერი) | 30,0 | 5,0 | 2,0 |
| ძანარდი (იტალია, უილიამსი) | 40,0 | 8,0 | 3,0 |
| ტრული (საფრანგეთი, პროსტი) | 40,0 | 8,0 | 3,0 |
| ვურცი (გერმანია, ბენეტონი) | 50,0 | 8,0 | 3,0 |
| ჰერბერტი (ბრიტანეთი, სტიუარტი) | 50,0 | 8,0 | 3,0 |
| დინიცი (ბრაზილია, ზაუბერი) | 75,0 | 10,0 | 4,0 |
| პანი (საფრანგეთი, პროსტი) | 75,0 | 10,0 | 4,0 |
| ხენე (ესპანეთი, მინარდი) | 75,0 | 10,0 | 5,0 |
| ზონტა (ბრაზილია, ბარ) | 75,0 | 10,0 | 5,0 |
| ბადოერი (იტალია, მინარდი) | 75,0 | 10,0 | 5,0 |
| დე ლა როსა (ესპანეთი, ეროუსი) | 75,0 | 10,0 | 5,0 |
| ტაკაგი (იაპონია, ეროუსი) | 75,0 | 10,0 | 5,0 |
| პირველი სამეული თანმიმდევრობით | | | 10,0 |

XV ეტაპზე კონსტრუქტორთა შორის გამარჯვებული

| | |
|---|---|
| მაკლარენი | 1,3 |
| ფერარი | 2,3 |
| ჯორდანი | 4,0 |
| უილიამსი | 15,0 |
| სტიუარტი | 15,0 |
| ბენეტონი | 15,0 |
| ზაუბერი | 25,0 |
| პროსტი | 25,0 |
| ეროუზი | 25,0 |
| BAR | 25,0 |
| მინარდი | 25,0 |

გადამრავლება შეიძლება სამეულში მოხვედრის (არაუმეტეს სამი მრბოლისა) ან ექვსეულში მოხვედრის (არაუმეტეს ექვსი მრბოლისა) კოეფიციენტების.

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

# გათამაშების წესები

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს [illegible] მული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის [illegible] ბში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონე-ბის სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არავის ეშინია, უკმაყოფილოც არავინაა

## ისევ პლეი ოფის შესახებ


შოტლანდიის ნაკრების მწვრთნელი კრეიგ ბრაუნი


ინგლისის ნაკრების მწვრთნელი კევინ კიგანი

ორშაბათიდან ელექტროკავშირგაბმულობის ინგლისელ სპეციალისტებს დიდი ჯაფა დააწვებათ: იწყება ინგლის-შოტლანდიის პლეი-ოფური დაპირისპირების საპასუხო მატჩისთვის ბილეთების დაკვეთა. ვისაც 17 ნოემბერს „უემბლის" ტრიბუნაზე მოკალათება სურს, უნდა დარეკოს და ბილეთი ამთავითვე დაიბევოს, თორემ მერე ბოდიში.

„ჩვენი სურვილია ყველა გულშემატკივრის მიმართ სამართლიანი ვიყოთ და ვიფიქრეთ, რომ ბილეთების განაწილების ყველაზე პატიოსანი მეთოდი სატელეფონო ზარია" — განაცხადა „უემბლის" პრეს-მდივანმა მარტინ კორიმ.

კორის და მის კოლეგებს კარგად ესმით, რომ ამ მეთოდსაც აქვს თავისი დიდი მინუსები, მაგრამ იმედოვნებენ, რომ მაინც მოახერხებენ მათ თავიდან არიდებას.

„რეალისტები უნდა ვიყოთ. თავიდან, გავიხსენოთ როგორ იმუშავა ამ მეთოდმა 1996 წელს?! არცთუ კარგად, მაგრამ დღეს მაშინ დაშვებული შეცდომების გამოსწორება შეიძლება" — დასძინა პრეს-მდივანმა.

ცხადია, ბილეთების საკმაოდ მოზრდილი ნაწილი შოტლანდიის ფეხბურთის ფედერაციასაც გაეგზავნება.

შოტლანდიის სპორტის მინისტრმა რონა ბრენკინმა კი ბრძანა: „ამ ორი მატჩის დროს ყველაზე მნიშვნელოვანი გულშემატკივართა უსაფრთხოების დაცვა იქნება".

დიახ, ორ მატჩში. უძველესი დაპირისპირების მორიგი სერიის პირველი შეხვედრა შოტლანდიაშია დანიშნული.

შოტლანდიელთა მთავარი მწვრთნელი კრეიგ ბრაუნი: „რაიმე მტრობას, ან საშიშ წინაპირობას ვერ ვხედავ. ორივე გუნდის მწვრთნელები და ხელმძღვანელები ერთმანეთისადმი მეგობრულად არიან განწყობილნი და მოთამაშეებზეც იგივეს თქმა შეიძლება. ბევრი მათგანი თანაკლუბელია.

ეჭვი არ მეპარება, რომ ჩვენს შორის თუ რამ მტრობაა, მეგობრული შეიძლება ეწოდოს. მწამს, ორივე შეხვედრა საგანგებო გამოვა. კევინ კიგანმა ყველა შოტლანდიელი მოთამაშის ავან-ჩავანი კარგად იცის, მაგრამ ვეჭვობ ეს რაიმე უპირატესობას ანიჭებდეს, რადგან ზუსტად იმავეს თქმა ჩვენზეც შეიძლება.

დღეს არც ინგლისის ნაკრებია ისე მოწესრიგებული, ევრო 96-ზე რომ იყო და არც შოტლანდიისა. ინგლისელები აშკარად გარდაქმნის ეტაპზე არიან და ალბათ ამიტომაც შეიძლება ითქვას, რომ ისინი ჩვენზე არეულნი არიან.

მოკლედ, ინგლისელების არ მეშინია და არც მაშინ შევიცხადე, კენჭისყრის შედეგები რომ შევიტყვე".

საგანგებო რამ ხდება ინგლისის ტელეკომპანიებშიც. საქმე ის გახლავთ, რომ ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციასთან გარიგების შედეგად მატჩების ტრანსლაციის უფლება მხოლოდ SKY SPORT-ს აქვს, მაგრამ, ვინაიდან ამ კომერციულ არხს მაყურებლის შეზღუდული რაოდენობა ჰყავს, შოტლანდიასთან თამაშის ხილვა კი მთელ ერს სურს, როგორც ჩანს, გამონაკლისი მოხდება და მას ITV-ს აუდიტორიაც ნახავს.

მაშ ასე, „ტარტან არმის" წინაალმდეგ ინგლისის ეროვნულ გუნდს თავის 65-ე სანაკრებო მატჩში კაპიტანი, ალან შირერი გაუძღვება.


ისრაელის ნაკრების მწვრთნელი შლომო შარფი და დანიელთა თავკაცი ბო იოჰანსენი (მარჯვნივ) გუშინწინდელი კენჭისყრის შემდეგ

„მგონი კენჭისყრა ფანტასტიკური იყო. ბრიტანულ ფეხბურთში საუცხოო რამ ხდება, ინგლისი შოტლანდიას ხვდება. ფანებს იშვიათი სიამოვნება ელით. ერთი სული მაქვს, როდის დადგება ეს დღე" — განაცხადა შირერმა.

ინგლისისა და შოტლანდიის გარდა 13 ოქტომბერს, ახენში ჩატარებულმა კენჭისყრამ კიდევ სამი წყვილი გამოავლინა: ირლანდია და თურქეთი, უკრაინა და სლოვენია, დანია და ისრაელი.

ვგონებთ, დანია — ისრაელის შემთხვევაში ყველაფერი ნათელია. რაგინდ ბევრი ილაპარაკონ ისრაელში ფეხბურთის განვითარების შესახებ იგი, ალბათ, იმდენად არ განვითარებულა, რომ დანიას აჯობოს. ეს ცხადია იმას არ ნიშნავს, რომ დანია ისრაელს ნამდვილად დიდი ანგარიშით მოუგებს ორივე, ან თუნდაც რომელიმე შეხვედრაში. ეჭვი არაა, ისრაელის ეროვნული გუნდი ევროპის 1992 წლის ჩემპიონს დიდ ბრძოლას გაუმართავს, მაგრამ კლასმა თავისი როლი, წესითა და რიგით, მაინც უნდა ითამაშოს.

თეორიულად უკრაინასაც აქვს სლოვენიასთან უპირატესობა. რას უნდა დაეყრდნონ უკრაინელები? შეკრულ გუნდს, ფსიქოლოგიურ უპირატესობას ურთულეს IV შესარჩევ ჯგუფში წარმატებით თამაშმა რომ შესძინა — სად საფრანგეთთან და რუსეთთან ბრძოლა და სად ნორვეგიასთან, საბერძნეთთან და მაპატიეთ... საქართველოსთან — და შევჩენკოსა და რებროვის ოსტატობას. სლოვენებს რისი დაპირისპირება შეუძლიათ? შემართების, შემართების და შემართების, თუმცა გარანტირებული პოსტსაბჭოელებს, არაფერი აქვთ.

და ბოლოს წყვილი, სადაც მეტოქეთა ძალები ყველაზე მეტად თანაბარია: თურქეთი — ირლანდია.

„კენჭისყრის შედეგზე რა გითხრათ, არც საუკეთესოა და არც უარესი. ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ ინგლისსა და უკრაინას ავცდით. რაც შეეხება თურქეთს, ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, რომ სტამბოლში თამაში მეტისმეტად ძნელია, მაგრამ ეს ჩემზე აბსოლუტურად არ მოქმედებს. ჩვენს წინააღმდეგ მოედანზე იქნება გუნდი და მორჩა. თანაც, მგონი არც თურქებს უნდა ახარებდეთ დუბლინში ჩამოსვლა. ირლანდიის ნაკრებს ხომ შინ დიდებული შედეგები აქვს. ერთადერთი, რაზეც გული მწყდება ისაა, რომ პირველი შეხვედრა შინ გვიწევს. კარგი იქნებოდა პირიქით ყოფილიყო.

და მაინც, ინგლისელებთან შეხვედრას თურქებთან თამაში მერჩივნა და მირჩევნია, თუმცა იოლი არაფერია. ძნელი მეტოქე იქნებოდა დანიაც. ამბობენ პლეი ოფში გასულთაგან ყველაზე სუსტი სლოვენიააო. როგორ შეიძლება სუსტი იყოს გუნდი, რომელიც ჯგუფში მეორე ადგილზე გავიდა?" — ბრძანებს ირლანდიელთა მწვრთნელი მიკ მაკკარტი.

რა პრობლემები აქვს მაკკარტის? როი კინის ტრავმა და მარკ კინსელას დისკვალიფიკაცია, თუმცა კინმა შეიძლება ითამაშოს, გააჩნია მკურნალობის საქმე როგორ წაუვა.

გადავხედოთ ისტორიას. როგორ თამაშობს ირლანდია პლეი ოფებში? 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის წინ, მას პარიზში ესპანეთმა მოუგო 1:0, 1995 წელს, ევრო 96-ის წინ, ლივერპულში ჰოლანდიასთან 0:2 წააგო, ხოლო საფრანგეთი 98-ის შესარჩევში ბელგიამ აჯობა: 1:1 დუბლინში, 1:2 ბრიუსელში.

თურქეთი მას მერე, რაც ირლანდიელებს ბოლოს შეხვდა, გაცილებით ძლიერი გუნდია. თურქეთ-ირლანდიის ბოლო დაპირისპირება კი 1992 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევში მოხდა. მაშინ ირლანდიამ 5:0 მოიგო.

**ბაკურნა ძიძია**

## 20 ამბავი 108 თამაშიდან

**1.** ინგლისი და შოტლანდია სულ 108-ჯერ შეხვედრიან ერთმანეთს. ინგლისმა მოიგო 44-ჯერ, შოტლანდიამ 40-ჯერ. ინგლისმა გაიტანა 190 გოლი, შოტლანდიამ 168.

**2.** პირველი თამაში 1872 წელს, გლაზგოს რაიონ პატრიკში, კრიკეტის მოედანზე გაიმართა. იმ მატჩში გოლი არ გასულა, ასეთი რამ კი 1970 წლამდე აღარ განმეორებულა. ეს ამბავი „ჰემპდენ პარკზე" მოხდა, ისევე, როგორც შემდგომი, 1984 წლის მაისში.

**3.** ბოლო მატჩი „უემბლიზე" ევრო 96-ის დროს გაიმართა. პოლ გესქოინისა და ალან შირერის გოლებით ინგლისმა 2:0 მოიგო.

**4.** „უემბლიზე" ინგლისი და შოტლანდია პირველად 1924 წელს წარსდგნენ ერთმანეთის პირისპირ. თამაში დამთავრდა 1:1, ეს იყო ლონდონის ცენტრალურ სტადიონზე გამართული 28 თამაშიდან ფრედ დამთავრებულ ხუთს შორის პირველი.

**5.** ყველაზე დიდი ანგარიშით დასრულდა „უემბლიზე" 1961 წელს გამართული მატჩი, რომელშიც ინგლისმა 9:3 მოიგო. ჰეთ-თრიქი შეასრულა ჯიმი გრივსმა. ერთი გოლი ინგლისელთა მომავალმა მწვრთნელმა, ბობი რობსონმაც შეაგდო.

**6.** შოტლანდიამ ყველაზე დიდი ანგარიშით 1878 წელს, „ჰემპდენ პარკზე" გაიმარჯვა — 7:2. მე-20 საუკუნეში მათი ყველაზე დიდი წარმატება გახლდათ 5:1, 1928 წელს. მაშინ სქოთთა გუნდს ინგლისურმა პრესამ „უემბლის ჯადოქრები" შეარქვა.

**7.** ყველაზე დიდი ინდივიდუალური წარმატება ჰქონდა ინგლისელ დენის უილშოუს, რომელმაც „უემბლიზე" 1955 წელს ოთხი გოლი შეაგდო. ინგლისმა მოიგო 7:2. ეს გახლდათ უილშოუს მეოთხე თამაში ეროვნულ გუნდში.

**8.** ინგლისისა და შოტლანდიის შეხვედრებიდან ყველაზე მეტი 1947-59 წლებში ბილი რაიტმა ჩაატარა — 13.

**9.** ყველაზე მეტი მაყურებელი დაესწრო 1934 წელს „ჰემპდენ პარკზე" გამართულ შეხვედრას — 149 547. ის მატჩი შოტლანდიამ 3:1 მოიგო.

**10.** 1902 წელს, „აიბროქს პარკზე" შოტლანდიისა და ინგლისის დაპირისპირების დროს ტრიბუნა ჩაინგრა. შედეგად დაიღუპა 25, ხოლო დაშავდა 500 ადამიანი. მიუხედავად ტრაგედიისა, თამაში არ შეჩერებულა. იგი დამთავრდა ფრედ 1:1.

**11.** ევროპის ჩემპიონატის მატჩი ინგლისსა და შოტლანდიას შორის პირველად 1996 წელს არ გამართულა. 1967 და 1968 წლებში ბრიტანეთის პირველობის მატჩები შესარჩევებად ჩათვალეს. მაშინ ინგლისმა აჯობა შოტლანდიას.

**12.** 1929 წელს „ჰემპდენ პარკზე" შოტლანდიამ 1:0 მოიგო და ერთადერთი გოლი ალექს ჩეინმა პირდაპირ კუთხურიდან გაიტანა.

**13.** 1885 წელს „კენინგტონ ოვალზე" მატჩი დამთავრდა ფრედ 1:1 და მასში პირველად ითამაშა ფეხბურთელმა პროფესიონალის სტატუსით. იგი გახლდათ „ბლექბერნის" ჯონ ფორესტი.

**14.** 1948 წელს, „ჰემპდენ პარკზე", ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში ითამაშა მესამე დივიზიონის ფეხბურთელმა ტომი ლოუტონმა. ინგლისმა მოიგო 2:0. მესამე დივიზიონის მოთამაშემ, მეკარე რეგ მეტიუსმა 1956 წელს, იმავე „ჰემპდენ პარკზე" შოტლანდიელთა კარი დაიცვა. მატჩი დამთავრდა 1:1. 1989 წელს, „ჰემპდენ პაკრზე" სქოთთა კარში გოლი ასევე მესამედივიზიონელმა სტივ ბალმა გაიტანა.

**15.** 1962 წელს, „ჰემპდენ პარკზე" შოტლანდიამ 2:0 მოიგო. ეს გახლდათ სქოთების პირველი გამარჯვება ინგლისთან ამ სტადიონზე 25 წლის ინტერვალის შემდეგ. მაშინ ინგლისმა, პირველად 35 წელიწადში ვერ მოიგო ბრიტანეთის პირველობა.

**16.** 1921 წელს, „ჰემპდენ პარკზე", ინგლისმა შოტლანდიას 3:0 რომ მოუგო, მის შემადგენლობაში ერთი გუნდის, „ტოტენჰემ ჰოთსპურის" ოთხი ფეხბურთელი თამაშობდა.

**17.** 1903 წელს, შეფილდში, შოტლანდიის ნაკრებმა ინგლისს 2:1 რომ მოუგო, სქოთების გუნდში ინგლისურ კლუბ „სანდერლენდში" მოთამაშე სამი ფეხბურთელი გამოდიოდა.

**18.** 1955 წელს, „უემბლიზე", ინგლისმა სქოთებს 7:2 სძლია. იმ დღეს გამარჯვებულთა გუნდში ითამაშა ფეხბურთელმა, რომელიც დღემდე რჩება ყველაზე ახალგაზრდად, ვინც ოდესმე ინგლისის ნაკრებში გამოსულა. იგი გახლავთ დანკან ედუარდსი, რომელიც 18 წლისა და 183 დღისა იყო.

**19.** სქოთებმა საფეხბურთო ლიგის ფეხბურთელები პირველად 1896 წელს ათამაშეს.

**20.** ინგლისის ნაკრებში სქოთების წინააღმდეგ ორჯერ ითამაშა ერთი გუნდის სამმა ფორვარდმა. 1908 წელს, ეს გუნდი გახლდათ „ჩელსი" (1:1), ხოლო 1908 წელს „სტოკ სიტი" (3:1)


სლოვენიის ნაკრების მწვრთნელი სრეჩკო კატანეცი


ირლანდიის ნაკრების მწვრთნელი მიკ მაკკარტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო

# ლიცენზიები იქნება. ყველა!

## გვაიმედებს შოთა ხაბარელი

ბირმინგემში დასრულებულ ძიუდოისტთა მსოფლიოს ჩემპიონატზე მედლებთან ერთად თამაშდებოდა ლიცენზიებიც, რომლებიც წონებში საუკეთესო რვა ფალავანს ეძლეოდა. ჩვენებმა ორი ბრინჯაოს მედალი და ამდენივე ლიცენზია მოიპოვეს. ეს ნესტორ ხერგიანმა (60) და გიორგი რევაზიშვილმა (73) შეძლეს.

ბირმინგემში მართლაც უძლიერესი ძიუდოისტები შეიკრიბნენ — გვიამბობს საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი შოთა ხაბარელი ეს, ალბათ, იმანაც განაპირობა, რომ ლიცენზიები ნაწილდებოდა. ყველას ურჩევნია, ისინი ახლავე მოიპოვოს და ოლიმპიადას დასვენებული შეხვდეს. ჩვენი ბიჭების გამოსვლით კმაყოფილი ვარ, თუმცა მეტიც შეიძლებოდა. ხერგიანმა კუბელ მანოლო პულოტთან შეხვედრაში შეცდომა დაუშვა — ჩოქბჯენში არასწორად ჩავიდა და მეტოქემ ვაზარიზე დააგდო. მანამდე კი იგებდა და ფინალშიც გადიოდა. ამ წონაში ხერგიანი მაინც ერთ-ერთი უძლიერესია. ამას იმითაც ამტკიცებს, რომ მეორე წელია, უმედლოდ არ რჩება. ის ოლიმპიადაზე თავის სიტყვას იტყვის.

რევაზიშვილმა ექვსი შეხვედრიდან ერთი წააგო, ხუთი კი წმინდად მოიგო. მათ შორის იაპონელ მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონ კენძო ნაკამურასთან. ორი ევროპის პრიზიორიც დაამარცხა. იმ წაგებულ შეხვედრაშიც აქტიურობდა. მსაჯებმა ისეთ უმნიშვნელო დარღვევებზე გააფრთხილეს, ზოგჯერ ყურადღებასაც რომ არ აქცევენ. თუმც არც იმას ვიტყვი, მსაჯებმა ძალიან დაგვჩაგრეს-მეთქი. მთლიანობაში რევაზიშვილმა ბრწყინვალედ იჭიდავა. მერე თავადაც თქვა, ღირს კი 66 კგ წონისთვის დავაო. ახლა მანაც და ვაზაგაშვილმაც 66 კგ-ში ლიცენზიის მოსაპოვებლად უნდა იბრძოლონ. სალიცენზიო ტურნირებში თითოეულ წონაში ორი მონაწილის გაყვანა შეგვიძლია. 73-ში ლიცენზია უკვე გვაქვს, 66-ში მისი მოპოვება ორს უფრო გაუიოლდება. მერე გადაწყდება, ვინ გამოვა ოლიმპიადაზე 66-ში. ამ ეტაპზე კი უპირატესობა რევაზიშვილის მხარესაა და არჩევანის უფლებაც მისია. ეს ორივე გიორგიმ კარგად იცის.

**— ვაზაგაშვილს შედეგს განსაკუთრებული ინტერესით ველოდით.**

— არ მინდა, მკითხველს მსაჯებზე საყვედურებით თავი შევაწყინო, მაგრამ ვაზაგაშვილი ნამდვილად დაჩაგრეს. როცა დამთავრდა მისი შეხვედრა ესპანელ კიოში უემაცუსთან, შუამავალმა მსაჯმა გამარჯვების ნიშნად ვაზაგაშვილის ალამი ასწია. მარჯვენა მსაჯი არ დაეთანხმა, მარცხენამ კი ჯერ ვაზაგაშვილის გამარჯვება გვამცნო ზეაწეული ალმით, მერე კი ხელი ძირს დაუშვა და გამარჯვება ესპანელს მიანიჭა. გადაწყვეტილების შეცვლა კი არ შეიძლება. იმ არბიტრს, ალბათ, დასჯიან, მაგრამ ჩვენ რა? გიორგის მართლაც ძლიერი მეტოქეები შეაზვედრა წილისყრამ, ცხრილის მეორე მხარეს რომ მოხვედრილიყო, იქ მხოლოდ მომავალი ჩემპიონი ფრანგი ლარბი ბენბოდაუდი შეხვდებოდა.

**— ევროპაზე მძიმე წონაში ალექსი დავითაშვილი აჭიდავეთ, აბსოლუტურში — რამაზ ჩოჩიშვილი. ახლა მათ ადგილები შეუცვალეთ და დავითაშვილი მეხუთეზე გავიდა, თუმცა ულიცენზიოდ დარჩა, რადგან ეს წონა ოლიმპიადის პროგრამაში არაა. დავითაშვილი რომ მძიმეში დაგეტოვებინათ, იქნებ გაემეორებინა იგივე შედეგი, რაც კიდევ ერთ ლიცენზიას მოგიტანდათ...**

— წონების შეცვლა წლევანდელმა რეიტინგმა განაპირობა. წლეულს ჩოჩიშვილმა უკეთესი შედეგი აჩვენა, თუმცა წონებზე ისინი არც დავობდნენ. ისე კი, დავითაშვილი მძიმეში ამდენს ვერ მიაღწევდა. იქ ის თურქ სელიმ თათაროღლუს შეხვდებოდა პირველივე წრეში, მასთან კი აბსოლუტურში წააგო, ამიტომ მისი მომგები არ იყო. იმ მძიმე წონაში მერე თათაროღლუც დამარცხდა იაპონელ შინიჩი შინოჰარასთან და ჩოჩიშვილს მედლისთვის ბრძოლის შანსი წაერთვა. დავითაშვილი რომ იქ ყოფილიყო, მასაც ასე დაემართებოდა, აბსოლუტურში კი მესამე ადგილისთვის იჭიდავა. ისე, მათი შესაძლებლობები დაახლოებით თანაბარია. ლიცენზიას, ალბათ, ორივე აიღებს, ოლიმპიადაზე კი მათგან საუკეთესო წავა.

**— გია გუგავაზე რას იტყვით?**

— ეს ბიჭი წარმატებასთან ყოველთვის ახლოსაა, მაგრამ ფსიქოლოგიური მომზადება აკლია. გადამწყვეტ მომენტებში ნებისყოფა ღალატობს. მან ახლაც კარგად იჭიდავა, მეცხრე ადგილზე გავიდა და ლიცენზიამდე ერთი ნაბიჯი დააკლდა. იმ წაგებული შეხვედრის წინ გიამ ხუთი წუთიც ვერ დაისვენა და მარცხი ამანაც განაპირობა. თუმცა მიმაჩნია, რომ ის ლიცენზიასაც მოიპოვებს და ოლიმპიადაზეც მედლის კანდიდატი იქნება. ლიცენზიას, ალბათ, ყველა წონაში ავიღებთ, მაგრამ 81, 100 და მძიმე წონებში მედალი ნაკლებადაა მოსალოდნელი. აქ უფრო ბედს ვცდით — ანკესს ვისვრით. ვნახოთ, თევზი თუ წამოეგება. ხერგიანი, ვაზაგაშვილი, რევაზიშვილი კი მედლის რეალური კანდიდატები არიან, რადგან თითქმის არც ერთი დიდი ტურნირიდან უმედლოდ არ ბრუნდებიან. გუგავას ამ სამეულის გვერდით ვაყენებ.

**— ბოლოს, თქვენს უახლოეს გეგმებზეც გვითხარით.**

— შეიძლება 23 ოქტომბერს ევროპის გუნდურ პირველობაზე წავიდეთ თურქეთში. ვნახოთ, დეპარტამენტმა ფული თუ გამოგვიძებნა. მერე, 30 ოქტომბერი — 1 ნოემბერს, თბილისის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირია, იანვრიდან კი სალიცენზიო ტურნირები იწყება. ასეთი ტურნირი ათია. მოჭიდავე სამში მაინც უნდა გამოვიდეს, რადგან რეიტინგში სწორედ ამდენის შედეგები შედის. პირველ რვა ადგილზე გასულები მომავალი წლის ევროპის ჩემპიონთან ერთად სიდნეის საგზურებს მიიღებენ. ჩვენ ყველა წონაში მოვიპოვებთ ლიცენზიას, ოღონდ კი დეპარტამენტმა ტურნირებზე გაგვიშვას.

**ირაკლი თავაძე**

### ტექნიკური შედეგები

| | |
|---|---|
| **60** | **90** |
| 1. მანოლო პულოტი (კუბა) | 1. ჰიდეჰიკო იოშიდა (იაპონია) |
| 2. კაზუჰიკო ტოკუნო (იაპონია) | 2. ვიქტორ ფლორესკუ (მოლდოვა) |
| 3. ნათიკ ბაგიროვი (ბელარუსი) | 3. იო სუნ იე (კორეა) |
| 3. ნესტორ ხერგიანი (საქართველო) | 3. ადრიან კროიტორუ (რუმინეთი) |
| **66** | **100** |
| 1. ლარბი ბენბოდაუდი (საფრანგეთი) | 1. კოსეი ინუე (იაპონია) |
| 2. ჰუსეინ ოზქანი (თურქეთი) | 2. იან სუნ ჰო (კორეა) |
| 3. პატრიკ ვან კალკენი (ჰოლანდია) | 3. ალექსანდრე მიხაილინი (რუსეთი) |
| 3. იორდანის არენსიბია (კუბა) | 3. ნიკოლა ჟილი (კანადა) |
| **73** | **მძიმე** |
| 1. ჯიმი პედრო (აშშ) | 1. შინიჩი შინოჰარა (იაპონია) |
| 2. ვიტალი მაკაროვი (რუსეთი) | 2. ინდრეკ პერტელსონი (ესტონეთი) |
| 3. გიორგი რევაზიშვილი (საქართველო) | 3. პან სონი (ჩინეთი) |
| 3. სებასტიან პერეირა (ბრაზილია) | 3. სელიმ თათაროღლუ (თურქეთი) |
| **81** | **აბსოლუტური** |
| 1. გრემ რენდლი (ინგლისი) | 1. შინიჩი შინოჰარა (იაპონია) |
| 2. ფარკოდ ტურაევი (უზბეკეთი) | 2. სელიმ თათაროღლუ (თურქეთი) |
| 3. კვაკ ოკ ჩოი (კსდრ) | 3. დენის ვან დერ გეესტი (ჰოლანდია) |
| 3. ჩო ინ ჩული (კორეა) | 3. ჰარი ვან ბარნეველდი (ბელგია) |
| | 5. ალექსი დავითაშვილი (საქართველო) |


19 ოქტომბერს სახელმწიფო ფილარმონიის
დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართება

საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენების,
გუნდების, მწვრთნელების და
სპორტის მოღვაწეთა
დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი.

ასეთი ამბავი საუკუნეში ერთხელ ხდება!

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია

Absolute Howard Energy

Sheraton Metechi Palace
HOTEL
TBILISI, GEORGIA

მეგაკომი

ს/ს „ქართული შაქარი"

საინფორმაციო მხარდაჭერა
საინფორმაციო მხარდაჭერა
საინფორმაციო მხარდაჭერა

სარბიელი

СВОБОДНАЯ ГРУЗИЯ

Ayety TV


რეფერენდუმი

# საქართველოს საუკუნის სპორტსმენები

## სამი კითხვა ლაურეატს

*1. დაგვისახელეთ თქვენი სპორტული კარიერის ყველაზე სასიხარულო და ყველაზე გულდასაწყვეტი ეპიზოდები.*
*2. ქართული სპორტი კრიზისშია. რაში ხედავთ გამოსავალს?*
*3. ვინ მიგაჩნიათ საქართველოს XX საუკუნის სამ საუკეთესო სპორტსმენად?*

**შოთა ხაბარელი**

**ძიუდო**

დაიბადა 1958 წლის 26 დეკემბერს ქარელის რაიონის სოფელ ძლევისჯვარში. სპორტის დამსახურებული ოსტატი, სსრკ ორგზის ჩემპიონი (1982, 85), სამგზის ვიცე-ჩემპიონი (1981, 84, 86) და ბრინჯაოსმედალოსანი (1980), სსრკ ხალხთა VIII სპარტაკიადის ჩემპიონი (1983), ევროპის გუნდური ჩემპიონი (1979), ევროპის ჩემპიონატების ვერცხლისა (1979, 80, 82) და ბრინჯაოს (1981, 83) მედალოსანი, მსოფლიოს ჩემპიონატის (1983) მესამე პრიზიორი, მოსკოვის ოლიმპიადის (1980) ჩემპიონი



1. რა თქმა უნდა, ყველაზე სასიხარულო 1980 წლის ოლიმპიადაზე გამარჯვება იყო, ყველაზე მეტად კი გული 1979 წლის მსოფლიოს პირველობამ დამწყვიტა. მაშინ, საფრანგეთში, ალბათ, საუკეთესოდ ვიყავი მომზადებული. მესამე წრეში ამერიკელს ვხვდებოდი, იუკოთიც ვუგებდი, მაგრამ დამთავრებამდე 20 წამით ადრე ვაზარიზე დავვარდი და წავაგე. ამან ისე იმოქმედა ჩემზე, რომ სტრესი თვეების მანძილზე გამყვა.

2. გამოსავალს იმაში ვხედავ, რომ მთავრობა უნდა დაგვეხმაროს. ეს კრიზისიც სპორტისადმი მისი უყურადღებობის ბრალია. ასეთ პირობებში რა შედეგებსაც ვაღწევთ, ესეც დიდი რამაა. თუ მთავრობის ყურადღება და ფინანსური მხარდაჭერა არ იქნება, კრიზისიდან ვერ გამოვალთ. ჩვენში სანთლით საძებარი არც კვალიფიციური მწვრთნელებია და არც ნიჭიერი სპორტსმენები. მათ შეუძლიათ, ქართულ სპორტს ძველი დიდება დაუბრუნონ.

3. ლევან თედიაშვილი, გივი კარტოზია, ვიქტორ სანეევი
ნონა გაფრინდაშვილი, ნინო სალუქვაძე, მაია ჩიბურდანიძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

*12 ოქტომბერს გარდაცვლილ ლეგენდარულ კალათბურთელ უილტ ჩემბერლენს ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის მრავალი რეკორდი დღემდე ეკუთვნის. მათ შორის გამორჩეულია ერთი, რომელმაც მნიშვნელოვნად განაპირობა ჩემბერლენის სიდიადე და, რომელსაც, ალბათ, დამხობა არ უწერია: 1962 წლის 2 მარტს უილტ ჩემბერლენმა 100 ქულა ჩაუგდო „ნიუ იორკ ნიკერბოკერსს“.*

*გთავაზობთ „ასოშეიტედ პრესის“ მიერ 1962 წლის 2 მარტის საღამოს გავრცელებულ წერილს, რომელიც ჩემბერლენის მიერ 100 ქულის გაკეთებას მიეძღვნა.*

# როგორ გააკეთა უილტ ჩემბერლენმა 100 ქულა

## 37 წლის წინანდელი წერილი



1962 წლის 2 მარტი. უილტ ჩემბერლენმა ეს-ესაა 100 ქულა გააკეთა

უილტ ჩემბერლენმა 100 ქულა გააკეთა და დაამყარა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის რეკორდი. დღევანდელ საღამოს „ფილადელფია ვორიორზმა“ 169:147 მოუგო „ნიუ იორკ ნიკერბოკერსს“. მატჩში გაკეთებული ქულების რაოდენობაც სარეკორდოა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციისთვის.

ამ მატჩში ჩემბერლენმა ლიგის რამდენიმე რეკორდი გააუმჯობესა. „ვორიორზის“ 7 ფუტი და 1 დიუიმი სიმაღლის ცენტრმა დაამყარა ერთ მატჩში ჩაგდებული სროლების რეკორდი (36), საჯარიმო სროლების რეკორდი (32-დან 28 ჩააგდო), მეოთხედში გაკეთებული ქულების რეკორდი (31) და ტაიმში გაკეთებული ქულების რეკორდი (59).

მეტოქეების მიერ ჯამში დაგროვილი 316 ქულაც ახალი რეკორდია. წინა 1959 წლის 27 თებერვალს დამყარდა, როცა „ბოსტონ სელტიქსმა“ 173:139 დაამარცხა „მინეაპოლის ლეიკერსი“. მაშინ „სელტიქსმა“ ერთი გუნდის მიერ დაგროვილი ქულების რეკორდიც დაამყარა.

„ფილადელფია“ ზრდიდა და ზრდიდა ანგარიშს, ჩემბერლენი კი ბურთს ბურთზე აგდებდა. „მიეცით ბურთი უილტს, მიეცით ბურთი უილტს“ — ყვიროდა 4124 მაყურებელი.

„ვორიორზი“ თავიდანვე მიხვდა, რომ ჩემბერლენი საუკეთესო ფორმაში იყო. ამიტომაც ხშირ-ხშირად აწვდიდნენ ბურთს. „ნიქსი“ ჯერ პერსონალური მეურვეობით შეეცადა ჩემბერლენის შეჩერებას, შემდეგ კი ერთდროულად რამდენიმე მოთამაშე მიუჩინა.

დარალ იმჰოფი, რომელიც მატჩის უმეტესი ნაწილის განმავლობაში ცდილობდა ჩემბერლენის მეურვეობას, ბოლო მეოთხედში პერსონალური საჯარიმოების გამო გავარდა.

დამთავრებამდე რამდენიმე წამით ადრე, როცა უილტმა მეასე ქულა გააკეთა, გულშემატკივრები მოედანზე გამოცვივდნენ. სანამ ისინი ადგილებს არ დაუბრუნდნენ, მატჩი შეჩერებული იყო.

„ვორიორზს“, ეტყობა, ძალიან უნდოდა მოგება და თავიდანვე 19:3 დაწინაურდა. როგორც ყოველთვის, ამჯერადაც რიჩი გუერინის წყალობით, „ნიქსმა“ მდგომარეობა გამოასწორა და ტაიმი 68:79 წააგო. მაგრამ ვერც გუერინმა (39 ქულა), ვერც კლივლენდ ბაკნერმა (33 ქულა) და ვერც ვილი ნოლსმა (31 ქულა) ვერაფერი მოუხერხეს იმ უპირატესობას, რომელიც „ვორიორზმა“ მოიპოვა ჩემბერლენის ქულების შედეგად. უილტმა, აგრეთვე, 25 მოხსნაც გააკეთა.

ჩემბერლენმა გააუმჯობესა ერთ მატჩში დაგროვილი ქულების რეკორდი (78 ქულა), რომელიც თავადვე დაამყარა ამ სეზონის დასაწყისში.

100 ქულა საუნივერსიტეტო მატჩებშიც გაუკეთებიათ. დამტკიცებული რეკორდი ეკუთვნის ფრენკ სეივის, რომელმაც, 1954 წელს, ფურმანის უნივერსიტეტის შემადგენლობაში 100 ქულა ჩაუგდო ნიუბერის უნივერსიტეტს. ამჟამად სეივი ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში, „ლოს ანჯელეს ლეიკერსში“ თამაშობს.

ვილანოვას უნივერსიტეტელმა პოლ ერაიზინმა და რიო გრანდეს (ოჰაიოს შტატი) უნივერსიტეტელმა ბევო ფრენსისმაც გააკეთეს 100 ქულაზე მეტი, მაგრამ უნივერსიტეტების ათლეტთა ეროვნულმა ასოციაციამ ეს რეკორდები არ დაამტკიცა. ისინი საშუალო სკოლების გუნდების წინააღმდეგ იქნა დამყარებული.

ამ საღამოს დამყარებული მრავალი რეკორდიდან, „ნიკერბოკერსს“ ერთადერთი ეკუთვნის. 147 ქულა ყველაზე მეტია, რაც კი წაგებულ გუნდს გაუკეთებია ერთ მატჩში. წინა მიღწევა 139 იყო. ამდენი ქულა ჩააგდო „მინეაპოლისმა“ 1959 წელს „ბოსტონის“ წინააღმდეგ.

ჩემბერლენმა თქვა: „100 ქულის დაგროვებაზე არც ვოცნებობდი, მაგრამ ზედიზედ ცხრა საჯარიმოს ჩაგდების შემდეგ, დავიწყე ფიქრი საჯარიმოების რეკორდზე. ეს იყო ჩემი საუკეთესო თამაში“.

უილტმა მადლობა გადაუხადა თანაგუნდელებს, რომლებიც დაეხმარნენ მას რეკორდის დამყარებაში: „მათ მხარი რომ არ დაეჭირათ, ამდენ ბურთს ვერ ჩავაგდებდი“.

**„ასოშეიტედ პრესი“**
**ჰერში, პენსილვანია**
**1962 წლის 2 მარტი**

# ჩემბერლენს დასტირიან...

***ბილ რასელი (60-იანი წლების ლეგენდარული მოთამაშე):*** გულმოკლული ვარ. უილტის სახით ძვირფასი და განსაკუთრებული მეგობარი დავკარგე. მას ჩემი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი გაჰყვა. ჩვენს მეტოქეობას ბევრი მსოფლიოს სპორტის უდიდეს დაპირისპირებას ეძახდა. მე და უილტი ერთმანეთს არ ვუპირისპირდებოდით — ეს იყო ჭეშმარიტი მეტოქეობა, რომელიც მეგობრობას და ურთიერთპატივისცემას ეფუძნებოდა... უილტი ყველაზე დიდი მოთამაშე იყო მათ შორის, ვინც მე მინახავს. უკეთესი არ ყოფილა. მისი ნიჭი და სათამაშო განსწავლულობა არაადამიანური იყო. იძულებული იყავი, მის წინააღმდეგ უმაღლეს დონეზე გეთამაშა. თუ ასე არ გააკეთებდი, აუცილებლად წააგებდი.

***ქარიმ აბდულ ჯაბარი (70-80 წლების ლეგენდარული მოთამაშე):*** უილტი ყველა დროის ერთ-ერთი უდიადესი იყო. მის მსგავსს ჩვენ ვერასდროს ვნახავთ.

***ჯერი ვესტი (ჩემბერლენის თანაგუნდელი „ლეიკერსში“):*** ჩვენ დავკარგეთ კალათბურთის ერთ-ერთი ხატება. ორმოცი წლის განმავლობაში უილტზე მნიშვნელოვანი მოთამაშე არ შემხვედრია.



საკალათბურთო კლასიკა: უილტ ჩემბერლენი (ბურთით) ბილ რასელის წინააღმდეგ

***დევიდ შტერნი (ნბა-ს კომისარი):*** ჩვენ დავკარგეთ გოლიათი, ამ სიტყვის ყველანაირი მნიშვნელობით.

***ბილ კლინტონი (აშშ-ის პრეზიდენტი):*** უილტ ჩემბერლენი მეოცე საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი სპორტსმენი იყო.

***ფილ ჯექსონი („ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ მწვრთნელი):*** ერთხელ უილტმა გაკვეთილი ჩამიტარა. ახალბედა ვიყავი და მის ნასროლს დავაფარე. ჩემბერლენმა ჩემს მომდევნო ხუთი სროლას დააფარა... უილტმა კალათბურთი სხვა, ახალი მხრიდან დაგვანახა.

***დარალ იმჰოფი (60-იანი წლების „ნიუ იორკ ნიკერბოკერის“ ცენტრი. იგი მეურვეობდა ჩემბერლენს იმ მატჩში, რომელშიც ამ უკანასკნელმა 100 ქულა გააკეთა):*** უილტის წინააღმდეგ 12 წელიწადი ვითამაშე და იმ 100 ქულის სიმძიმე ყოველთვის ბეჭებზე მაწვებოდა.

***რედ აუერბახი (50-60-იანი წლების ლეგენდარული მწვრთნელი):*** უილტ ჩემბერლენი ნბა-ს ისტორიის ერთ-ერთი უმთავრესი ფიგურაა. მისი ძლევამოსილება, შემართება, ბილ რასელთან დაპირისპირება — ყველაფერი ამის დასტურია. უილტი დიდი კალათბურთელი, სპორტსმენი და შემსრულებელი იყო.

***ელჯინ ბეილორი (ჩემბერლენის თანაგუნდელი „ლეიკერსში“):*** უილტი ძალიან გახსნილი პიროვნება იყო. თუკი რამე მოაფიქრდებოდა, აუცილებლად გეტყოდა, დამალვა არაფრის იცოდა. ბევრს მისი ეს თვისება არ მოსწონდა... უილტს ყველგან მხიარულება მოჰქონდა. იგი ერთი კარგი ბიჭი იყო.

***ლენი ვილკენსი: („ატლანტა ჰოქსის“ მწვრთნელი):*** უილტი ყველა დროის ერთ-ერთი უდიადესი კალათბურთელია. რატომ? სიმაღლე, სიძლიერე, ცოდნა.

***უეინ გრეცკი (ლეგენდარული ჰოკეისტი):*** მაიკლ ჯორდანი უდიდესი სპორტსმენია მათ შორის, ვინც მე მინახავს. უილტ ჩემბერლენს, სამწუხაროდ, ვერ შევესწარი. უფროსი მეგობრები მეუბნებიან, ჩემბერლენის თამაში რომ გენახა, მაშინ სხვა აზრისა იქნებოდიო...

***ბილი კანინგემი (ჩემბერლენის თანაგუნდელი „ფილადელფიაში“):*** უილტი ძალიან კეთილი და მოწყალე იყო. არც კი მახსოვს, რამდენჯერ მინახავს ეს სცენა: უილტი ჩასატენად ხტება, ხოლო მეტოქე კალათს ხელებით ეფარება, უილტი აღარ ტენის, რადგან რომ ჩატენოს, მეტოქეს ხელი მოტყდება.

## ჩემბერლენის რიცხვები

| | |
|---|---|
| **1** ... | სეზონის საუკეთესო ახალბედა (1960) |
| **1** ... | ნბა-ს ფინალის უძვირფასესი მოთამაშე (1972) |
| **2** ... | ნბა-ს ჩემპიონი (1967, 1972) |
| **4** ... | სეზონის უძვირფასესი მოთამაშე (1960, 1966, 1967, 1968) |
| **7** ... | სეზონის საუკეთესო ბომბარდირი (1961-66) |
| **8** ... | სეზონის ლიდერი ნათამაშევი წუთების რაოდენობით |
| **11** ... | სეზონის საუკეთესო მომხსნელი |
| **22,9** ... | მოხსნების საშუალო მაჩვენებელი. ნბა-ს ისტორიაში საუკეთესო შედეგი |
| **28** ... | ერთ მატჩში ჩაგდებული საჯარიმოები. ნბა-ს რეკორდი, რომელიც 1984 წელს გაიმეორა ადრიან დენტლიმ |
| **35** ... | თამაშიდან ზედიზედ ჩაგდებული ბურთები (1967 წლის 17-28 თებერვალი) |
| **55** ... | მოხსნების რაოდენობა ერთ მატჩში (1960 წლის 24 ნოემბერი, „ბოსტონ სელტიქსის“ წინააღმდეგ) |
| **79** ... | შეუცვლელად ჩატარებული მატჩები ერთ სეზონში (1961-62) |
| **100** ... | ქულების რაოდენობა ერთ მატჩში (1962 წლის 2 მარტი, „ნიუ იორკ ნიკერბოკერსის“ წინააღმდეგ). ნბა-ს რეკორდი |
| **118** ... | მატჩები, რომლებშიც 50 ქულაზე მეტი გააკეთა |
| **271** ... | მატჩები, რომლებშიც 40 ქულაზე მეტი გააკეთა |
| **1 085** ... | ნბა-ში ჩატარებული თამაშები |
| **2 149** ... | 1960-61 წლების სეზონში გაკეთებული მოხსნები. ნბა-ს რეკორდი |
| **4 029** ... | 1961-62 წლების სეზონში გაკეთებული ქულები. ნბა-ს რეკორდი |
| **11 862** ... | კარიერაში ნასროლი საჯარიმოები. ნბა-ს რეკორდი |
| **23 924** ... | კარიერაში გაკეთებული მოხსნები. ნბა-ს რეკორდი |
| **31 419** ... | კარიერაში გაკეთებული ქულები. მეორე შედეგი ქარიმ აბდულ ჯაბარის შემდეგ (38 387) |

# ბოისა: მხოლოდ დაცვით...

ვლადიმერ ბოისამ ათენის „ნიარ ისტს“ ბურთი ვერ ჩაუგდო, მაგრამ მის თამაშს მაინც სასარგებლო ეთქმის. ქართველი კალათბურთელი პერსონალურად მეურვეობდა ბერძნული გუნდის კუბელ თავდამსხმელს ალეხანდრო გუიბერტს და, თამამად შეიძლება ითქვას, წარმატებით. იმ 22 წუთის განმავლობაში, როცა ბოისა მოედანზე იყო, გუიბერტმა ოთხი ქულის დაგროვება შეძლო, ამისთვის კი 12 სროლის შესრულება დასჭირდა. მიუხედავად ამისა, ბოისა საკუთარი თავის უკმაყოფილო იყო: დაცვა კარგია, მაგრამ ქულების დაგროვება უფრო მნიშვნელოვნად მიმაჩნიაო, გვითხრა. ნიკა ცქიტიშვილს არ უთამაშია, მწვრთნელმა ტომო მაჰორიჩმა იგი ამ მატჩის ათკაციან განაცხადში არ შეიყვანა.

„ნაირ ისტი“ სოლიდური გუნდია, „სლოვანი“ — ახალგაზრდული. ბერძნებმა სათანადოდ არ შეაფასეს მეტოქე და ამის გამო კინაღამ დაისაჯნენ. მართალია, მასპინძლებმა პირველი ტაიმი მოიგეს (38:34), მაგრამ შესვენების შემდეგ „სლოვანი“ ძლიერად ათამაშდა და ბოლო წუთამდე იგებდა. გადამწყვეტ მომენტში ლიუბლიანელებს სიზუსტემ უმტყუნა: ორჯერ ბურთი დაკარგეს, ერთხელ ააცილეს. მასპინძლებს ბულგარელი და ისრაელელი მსაჯებიც ორჯერ წაეხმარნენ: აუტში გადასული ბურთი ჯერ „სლოვანს“ მიაკუთვნეს, მაგრამ მერე გადათქვეს და „ნიარ ისტს“ გადაულოცეს.

მომდევნო მატჩს კორაჩის თასზე „სლოვანი“ 20 ოქტომბერს გამართავს, იგი თურქულ „ქარშიაქას“ უმასპინძლებს.

## კორაჩის თასი. ჯგუფური ეტაპი. M ჯგუფი

**ნიარ ისტი (საბერძნეთი) 75:71 სლოვანი (სლოვენია)**

ნიარ ისტი: ესპინოსა (7), ფილიუსისი (3), ჰილი (21), გუიბერტი (15), კიული (2), მოლფეტასი (9), მონტასი (4), პანტაზოპულოსი (11), პავლიდისი (3), სოფოიანისი

სლოვანი: ბოისა, ჯურკოვიჩი (8), კოვაჩი (11), ლაკოვიჩი (9), მარავიჩი (8), ნოვაკი (10), პავიჩი (7), შინკოვეცი (6), შუშტარშიჩი (12), ჟაკელი

| სლოვანი | წთ. | 2-ქ. | 3-ქ. | საჯ. | მოხს. | პასი | ჩაჭ. | დაფ. | ფოლ | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12 ბოისა | 22 | 0/2 | 0/2 | 0/0 | 2 | 1 | 1 | 1 | 4 | 0 |

## საგამოფენო მატჩი

# სტეფანია: ისევ ცოტა

**სიეტლი 101:88 ჰიუსტონი**

სიეტლი: პეიტონი (21), ბერი (13), პატერსონი (4), ბეიკერი (12), ჰ. გრანტი (2); მაქსველი (12), ლუისი (10), მაკოი (15), დევისი (6), სტეფანია (2), ვინსონი (2), პერსონი (1)

ჰიუსტონი: ანდერსონი (8), ფრენსისი (15), ვილიამსი (15), ბარკლი (4), ოლაჯუონი (4); კატო (11), მობლი (12), დრიუ (9), როჯერსი (7), ბალარდი (2), ტომასი (1)

ვლადიმერ სტეფანიამ, წინა მატჩთან შედარებით, ერთი წუთით მეტი ითამაშა. შვიდ წუთში ქართველი კალათბურთელი 2 ქულით და თითო ჩაჭრა-პასით შეეწია „სიეტლ სუპერსონიქსს“, რომელმაც საშინაო საგამოფენო მატჩში სძლია საკმაოდ განახლებულ-გაძლიერებულ „ჰიუსტონ როკიტსს“.

დამთავრებამდე შვიდი წუთით ადრე ჰიუსტონელმა კელვინ კატომ ჩატენა და 82:81 დააწინაურა თავისიანები. მომდევნო სამწუთიანი მონაკვეთი „სიეტლმა“ 12:0 მოიგო, თავი გამოიჩინეს გერი პეიტონმა, ვერნონ მაქსველმა და ჰორას გრანტმა.

სუსტად ითამაშეს „ჰიუსტონის“ ლიდერებმა ჩარლზ ბარკლიმ და ჰაკიმ ოლაჯუონმა: შესაბამისად 25 და 29 წუთში მათ ოთხ-ოთხი ქულა გააკეთეს.

მომდევნო საგამოფენო მატჩს „სიეტლი“ დღეს გამართავს „იუტა ჯაზთან“.

# ნაცვლიშვილი: ორი მატჩი და სამასი ლარი

საკალათბურთო ჩემპიონატის მეორე ტურის მატჩში სდასუ ბათუმის „ბასკოს“ მასპინძლობდა. ერთ-ერთ სათამაშო ეპიზოდში მსაჯმა ზაზა მაჩალაძემ სტუდენტი გიგი ნაცვლიშვილი მეხუთედ დააჯარიმა. კალათბურთელი არბიტრს შეედავა და მისგან ტექნიკური შენიშვნაც დაიმსახურა. ამან ნაცვლიშვილი აღაშფოთა, მან სიტყვიერი შეურაცხყოფა არ იკმარა და მსაჯზე საცემრად გაიწია, მაგრამ საქმე აქამდე აღარ მისულა...

თავმოყვარეობაშელახულმა მაჩალაძემ სდასუელი მოედნიდანაც დაითხოვა და სათადარიგოთა სკამიდანაც, რაც იმას მოასწავებდა, რომ გიგი თავისიანთ ვერც უახლოეს მატჩში დაეხმარებოდა. გახელებული მოთამაშე სასწრაფოდ გააშორეს იქაურობას.

კალათბურთის ფედერაციიდან მიღებული ინფორმაციით, ამ დარღვევისთვის გიგი ნაცვლიშვილი დებულების მიხედვით დაისჯება. კალათბურთელი სდასუ-ს მომდევნო ორ შეხვედრას გამოტოვებს და მისი კლუბიც 300 ლარით დაჯარიმდებაო, გვამცნო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ლულუ დადიანმა.

## კორაჩის თასი

ჯგუფური ეტაპი. II ტური. 12-13 ოქტომბერი

### A ჯგუფი

გენტი (ბელგია) — ვაკალო (შვეიცარია) 68:70, ხირონა (ესპანეთი) — ანტიბი (საფრანგეთი) 75:63

*სატურნირო მდგომარეობა: ხირონა 4 ქულა, ვაკალო 4, გენტი 2, ანტიბი 2*

### B ჯგუფი

ლოკა კავა (სლოვენია) — იმოლა (იტალია) 60:76, გალათასარაი (თურქეთი) — ზრინიევაცი (ხორვატია) 88:66

*სატურნირო მდგომარეობა: იმოლა 4 ქულა, გალათასარაი 4, ზრინიევაცი 2, ლოკა კავა 2*

### C ჯგუფი

მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი) — რეჯანა (იტალია) 85:60

*სატურნირო მდგომარეობა: მაკაბი 4 ქულა, ნიკოლ ფერტი (მაკედონია) 1, რეჯანა 1*

### D ჯგუფი

უნიკახა (ესპანეთი) — ბაიერი (გერმანია) 65:53, პეზსი (იტალია) — მონსი (ბელგია) 85:89

*სატურნირო მდგომარეობა: უნიკახა 4 ქულა, მონსი 3, ბაიერი 3, პეზსი 2*

### E ჯგუფი

ჰაპოელი (გალილ ელიონი, ისრაელი) — ინტერი (სლოვაკეთი) 86:71, აეროპორტი (იტალია) — ბეშიქთაში (თურქეთი) 62:48

*სატურნირო მდგომარეობა: აეროპორტი 4 ქულა, ბეშიქთაში 3, ჰაპოელი 3, ინტერი 2*

### F ჯგუფი

ლოკომოტივი (რუსეთი) — პილოსეტი (ფინეთი) 82:76, ალიტა (ლიტვა) — ბკ კიევი (უკრაინა) 92:80

*სატურნირო მდგომარეობა: ალიტა 4 ქულა, ლოკომოტივი 3, პილოსეტი 3, ბკ კიევი 2*

### G ჯგუფი

მაკაბი (რამათ განი, ისრაელი) — ზაგრები (ხორვატია) 77:69, სპარტა (ჩეხეთი) — მარუსი (საბერძნეთი) 63:103

*სატურნირო მდგომარეობა: მაკაბი 4 ქულა, მარუსი 4, ზაგრები 2, სპარტა 2*

### H ჯგუფი

ნეპტუნასი (ლიტვა) — კოუვოტი (ფინეთი) 88:73, ბორასი (შვედეთი) — პოგონი (პოლონეთი) 86:85

*სატურნირო მდგომარეობა: ნეპტუნასი 4 ქულა, პოგონი 3, ბორასი 3, კოუვოტი 2*

### I ჯგუფი

ლიმოჟი (საფრანგეთი) — ანტვერპენი (ბელგია) 81:75, ოვარენშე (პორტუგალია) — ფუენლაბრადა (ესპანეთი) 61:82

*სატურნირო მდგომარეობა: ფუენლაბრადა 4 ქულა, ლიმოჟი 4, ოვარენშე 2, ანტვერპენი 2*

### J ჯგუფი

უნიქსი (რუსეთი) — შიაულიაი (ლიტვა) 76:59, ბიტომი (პოლონეთი) — გროდნო (ბელარუსი) 77:52

*სატურნირო მდგომარეობა: უნიქსი 4 ქულა, შიაულიაი 3, ბიტომი 3, გროდნო 2*

### K ჯგუფი

ნანსი (საფრანგეთი) — ლუგანო (შვეიცარია) 65:63, ირბ (ისლანდია) — ჰუიმა (ფინეთი) 84:76

*სატურნირო მდგომარეობა: ნანსი 4 ქულა, ლუგანო 3, ირბ 3, ჰუიმა 2*

### L ჯგუფი

ურალ გრეიტი (რუსეთი) — ნობილესი (პოლონეთი) 83:79, ცსკა (უკრაინა) — სემა (ლიტვა) 88:69

*სატურნირო მდგომარეობა: ცსკა 4 ქულა, ურალ გრეიტი 3, ნობილესი 3, სემა 2*

### M ჯგუფი

ნიარ ისტი (საბერძნეთი) — სლოვანი (სლოვენია) 75:71

*სატურნირო მდგომარეობა: ნიარ ისტი 3 ქულა, ქარშიაქა (თურქეთი) 2, სლოვანი 1*

### N ჯგუფი

ტელეკომი (თურქეთი) — პერისტერი (საბერძნეთი) 81:80, ციტლიუკი (ბოსნია) — ტრირი (გერმანია) 87:85

*სატურნირო მდგომარეობა: ციტლიუკი 4 ქულა, პერისტერი 3, ტელეკომი 3, ტრირი 2*

### O ჯგუფი

არისი (საბერძნეთი) — აპოლონი (კვიპროსი) 94:64

*სატურნირო ცხრილი: არისი 4 ქულა, ლევსკი (ბულგარეთი) 1, აპოლონი 1*

### P ჯგუფი

ლე მანი (საფრანგეთი) — მადეირა (პორტუგალია) 57:66, ოსტენდე (ბელგია) — ესტუდიანტესი (ესპანეთი) 74:98

*სატურნირო ცხრილი: ესტუდიანტესი 4 ქულა, მადეირა 3, ლე მანი 3, ოსტენდე 2*

*მესამე ტური გაიმართება 19-20 ოქტომბერს*

## საპორტას თასი

ჯგუფური ეტაპი. IV ტური. 13 ოქტომბერი

### A ჯგუფი

ავტოდორი (რუსეთი) — ჰონკა (ფინეთი) 79:69, ჰაპოელი (იერუსალიმი, ისრაელი) — ჩერნო მორე (ბულგარეთი) 87:78

*სატურნირო მდგომარეობა: აეკ 8 ქულა, შარლერუა 7, ჩერნო მორე 6, ჰაპოელი 6, ავტოდორი 5, ჰონკა 4*

### D ჯგუფი

პარი სენ ჟერმენი (საფრანგეთი) — რაბოტნიჩკი (მაკედონია) 83:43

*სატურნირო მდგომარეობა: ტაუ 8 ქულა, პეკაესი 7, პსჟ 7, ბოსნა 6, ილიაბუმი 4, რაბოტნიჩკი 4*

### G ჯგუფი

სპლიტი (ხორვატია) — პლანია (შვედეთი) 104:82

*სატურნირო მდგომარეობა: დარუშაფაკა 8 ქულა, სპლიტი 7, ადეკო 7, პლანია 6, ოკაპი 4, ლონდონ თაუერზი 4*

### H ჯგუფი

საკალაი (ლიტვა) — კრკა (სლოვენია) 78:74, მლეკარნა (ჩეხეთი) — ტატამი (გერმანია) 70:85

*სატურნირო მდგომარეობა: საკალაი 8 ქულა, კრკა 6, რადნიჩკი 6, ტატამი 6, ტოპო 5, მლეკარნა 5*

*მეხუთე ტური გაიმართება 19-20 ოქტომბერს*

# სარბიელის საშუალებით ფიბა გეკითხებათ

1999 წლის 28 დეკემბერს მოსკოვში გაიმართება „ევროსტარი“, მატჩი ევროპის საუკეთესო კალათბურთელთა მონაწილეობით. ერთმანეთს შეხვდებიან „აღმოსავლეთის“ და „დასავლეთის“ გუნდები.

სამოყვარულო კალათბურთის საერთაშორისო ფედერაცია (ფიბა), „აღმოსავლეთის“ და „დასავლეთის“ გუნდების შემადგენლობების გამოსავლენად აწყობს გულშემატკივართა საერთო-ევროპულ გამოკითხვას. ეს გამოკითხვა ევროპის თითოეულ ქვეყანაში თითო გაზეთის საშუალებით მოეწყობა. საქართველოში ფიბა-ს პარტნიორობის ექსკლუზიური უფლება (საქართველოს კალათბურთის ფედერაციის რეკომენდაციით), „სარბიელს“ ერგო. ამრიგად, „სარბიელის“ მკითხველი უშუალოდ დაადგენს „ევროსტარში“ მოთამაშე გუნდების შემადგენლობებს.

თქვენთვის საქმის გასაიოლებლად, ფიბა გთავაზობთ იმ ევროპელი კალათბურთელების სიას, რომლებიც ამ დროისთვის საუკეთესონი არიან. თქვენ შეგიძლიათ დაასახელოთ ის ევროპელი მოთამაშეებიც, რომლებიც ამ სიაში არ არიან, მაგრამ თამაშობენ ევროპის კლუბებში და, თქვენი აზრით, იმსახურებენ „ევროსტარში“ მოხვედრას.

ამას გარეთ, გთხოვთ, დაასახელოთ ორი არაევროპელი კალათბურთელი, რომლებიც თამაშობენ ევროპის კლუბებში.

ამრიგად, თქვენ უნდა დაასახელოთ სულ 14 კალათბურთელი (12 ევროპელი, 2 არაევროპელი). კალათბურთელის სახელისა და გვარის გასწვრივ მითითებულია მისი ეროვნება და კლუბი:

| | | |
|---|---|---|
| ☐ ალესანდრო აბიო | იტალია | კინდერი (იტალია) |
| ☐ ფრაგისკოს ალვერტისი | საბერძნეთი | პანათინაიკოსი (საბერძნეთი) |
| ☐ ალბერტო ანგულო | ესპანეთი | რეალი (ესპანეთი) |
| ☐ მიროსლავ ბერიჩი | იუგოსლავია | უგუნდოდ |
| ☐ ჰუსეინ ბეშოქი | თურქეთი | ეფესი (თურქეთი) |
| ☐ ჟიმ ბილბა | საფრანგეთი | ვილერბანი (საფრანგეთი) |
| ☐ დავიდე ბონორა | იტალია | კინდერი (იტალია) |
| ☐ დეიან ბოდიროგა | იუგოსლავია | პანათინაიკოსი (საბერძნეთი) |
| ☐ პრედრაგ დანილოვიჩი | იუგოსლავია | კინდერი (იტალია) |
| ☐ ალექსანდრ ჯორჯევიჩი | იუგოსლავია | რეალი (ესპანეთი) |
| ☐ გინტარას ეინიკისი | ლიტვა | ცსკა (რუსეთი) |
| ☐ ნიკოს ეკონომუ | საბერძნეთი | კინდერი (იტალია) |
| ☐ ჰარუნ ერდენაი | თურქეთი | ულქერი (თურქეთი) |
| ☐ ვინჩენცო ესპოზიტო | იტალია | იმოლა (იტალია) |
| ☐ ლორან ფოარე | საფრანგეთი | ტაუ (ესპანეთი) |
| ☐ გრეგორ ფუჩკა | იტალია | ფორტიტუდო (იტალია) |
| ☐ ტორბიორნ გერკე | შვედეთი | პლანია (შვედეთი) |
| ☐ გორდან გირიჩეკი | ხორვატია | ციბონა (ხორვატია) |
| ☐ ალბერტო ერეროსი | ესპანეთი | რეალი (ესპანეთი) |
| ☐ არტურას კარნიშოვასი | ლიტვა | ფორტიტუდო (იტალია) |
| ☐ ოდედ კატაში | ისრაელი | პანათინაიკოსი (საბერძნეთი) |
| ☐ მიხაელ კოხი | გერმანია | პანათინაიკოსი (საბერძნეთი) |
| ☐ იბრაჰიმ ქუთლუაი | თურქეთი | ეფესი (თურქეთი) |
| ☐ დენის მარკონატო | იტალია | ბენეტონი (იტალია) |
| ☐ ანდრეა მენეგინი | იტალია | ვარეზე (იტალია) |
| ☐ მარკო მილიჩი | სლოვენია | ოლიმპია (სლოვენია) |
| ☐ ველკო მრშიჩი | ხორვატია | უნიკახა (ესპანეთი) |
| ☐ დამირ მულაომეროვიჩი | ხორვატია | ეფესი (თურქეთი) |
| ☐ მარტინ მიურსეპი | ესტონეთი | აეკ (საბერძნეთი) |
| ☐ კარლტონ მაიერსი | იტალია | ფორტიტუდო (იტალია) |
| ☐ პეტარ ნაუმოსკი | მაკედონია | უგუნდოდ |
| ☐ ხუან კარლოს ნავარო | ესპანეთი | ბარსელონა (ესპანეთი) |
| ☐ საშა ობრადოვიჩი | იუგოსლავია | ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) |
| ☐ პაულუ პინტუ | პორტუგალია | პორტუ (პორტუგალია) |
| ☐ დინო რაჯა | ხორვატია | ზადარი (ხორვატია) |
| ☐ ჟელკო რებრაჩა | იუგოსლავია | პანათინაიკოსი (საბერძნეთი) |
| ☐ ეფტიმიოს რენციასი | საბერძნეთი | ბარსელონა (ესპანეთი) |
| ☐ ანტუან რიგოდო | საფრანგეთი | კინდერი (იტალია) |
| ☐ ჰენრიკ როდლი | გერმანია | ალბა (გერმანია) |
| ☐ დორონ შეფერი | ისრაელი | მაკაბი (ისრაელი) |
| ☐ მატიაშ სმოდიში | სლოვენია | კრკა (სლოვენია) |
| ☐ მუსტაფა სონკო | საფრანგეთი | ვილერბანი (საფრანგეთი) |
| ☐ საულიუს შტომბერგასი | ლიტვა | კინდერი (იტალია) |
| ☐ ერიკ სტრიულენსი | ბელგია | რეალი (ესპანეთი) |
| ☐ დრაგან ტარლაჩი | იუგოსლავია | ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) |
| ☐ მილან ტომიჩი | იუგოსლავია | ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) |
| ☐ დომინიკ ტომჩიკი | პოლონეთი | პეკაესი (პოლონეთი) |
| ☐ ალექსის ზახარიუ | კვიპროსი | აპოელი (კვიპროსი) |
| ☐ ირჟი ზიდეკი | ჩეხეთი | ჟალგირისი (ლიტვა) |
| ☐ მინდაუგას ჟუკაუსკასი | ლიტვა | ჟალგირისი (ლიტვა) |

| სიაში არმოხვედრილი ევროპელები | არაევროპელები |
|---|---|
| | |
| | |

*სიაში მყოფი თქვენთვის სასურველი მოთამაშის შერჩევისას მისი სახელის და გვარის წინ მდებარე კვადრატში გააკეთეთ შესაბამისი აღნიშვნა ☒. ხოლო არაევროპელი და სიაში არმყოფი მოთამაშის გვარები ჩაწერეთ სპეციალურ გრაფებში.*

გთხოვთ, გაზეთიდან ამოჭრილი ანკეტა 1999 წლის 1 ნოემბრამდე გამოგვიგზავნოთ „სარბიელის“ რედაქციაში მისამართზე:

**თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42,**

ან საფოსტო მისამართზე:

**თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208**

გთხოვთ, მიუთითოთ თქვენი სახელი, გვარი და ასაკი:

# ბოდიში, თქვენ გელით ნემსები

რამდენიმე დღის წინ ლონდონში დევისის თასის მომავალი სეზონის კენჭისყრა გაიმართა. უიმბლდონის სამგზის ჩემპიონმა და მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა ბორის ბეკერმა, რომელიც საპატიო სტუმარი გახლდათ, გუნდები ასე დააწყვილა:

ზიმბაბვე - აშშ (2)
ჩეხეთი - ინგლისი (8)
ესპანეთი (4) - იტალია
რუსეთი (5) - ბელგია
სლოვაკეთი (6) - ავსტრია
ბრაზილია - საფრანგეთი (3)
გერმანია (7) - ჰოლანდია
შვეიცარია - ავსტრალია (1)

*(პირველად მოხსენიებულია მასპინძელი ქვეყნები)*

ასე და ამგვარად, აშშ-ის გუნდის ახალგამომცხვარ კაპიტან ჯონ მაკინროის თავისი პირველი შეხვედრის ჩატარება ქვეყნის დასალიერს, აფრიკაში ერგო. 4-6 თებერვალს ამერიკელებს შორეულ ზიმბაბვეში მოუხდებათ გამგზავრება, რის პერსპექტივაც ჩოგბურთის ყველაზე დიდ შარისთავს სულაც არ ახარებს.

„ამაზე უარესი სცენარით მოვლენები ვერ განვითარდებოდა. ის კი არ მაშინებს, რომ ზიმბაბველებთან შეიძლება დავმარცხდეთ, არამედ რაიმე დაავადება არ ავიკიდოთ. ვფიქრობ, ჩემს ჩოგბურთელებს 20-30 აცრის გაკეთება მაინც მოუწევთ მკლავზე“ — აღნიშნა მაკინროიმ ჟურნალისტებთან შეხვედრისას მანჰეტენში.

თუმცა ჯონს იმაში მაინც გაუმართლა, რომ ორი სუპერვარსკვლავი პიტ სამპრასი და ანდრე აგასი შეხვედრაში მონაწილეობაზე მანამ დაითანხმა, სანამ მომავალი მეტოქე გაირკვეოდა.

„პიტს ლამის მუხლმოყრილი ვეხვეწე, გუნდში დაბრუნებულიყო და ისიც გატყდა, თუმცა რომ სცოდნოდა, ზიმბაბვეში წავიყვანდი, ალბათ, არასდიდებით არ იზამდა ამას“.

რაც შეეხება აგასის, რომელიც ჯერ კიდევ შარშან აცხადებდა, დევისის თასზე აღარასოდეს ვითამაშებო, მაკინროის თანხმობა მან კანზას სიტიში, ერთ-ერთ საქველმოქმედო საღამოზე შეხვედრის დროს განუცხადა.

„ანდრემ თან დააყოლა, ახლა შტეფისთან (გრაფი) ერთად ვარო და ლამის შოკში ჩამაგდო. იმის თქმაც კი მომიხდა, ძალიან გამიხარდა, შტეფიმ უიმბლდონზე შერეულ წყვილებში თამაშზე ზედ ნახევარფინალის წინ უარი რომ განმიცხადა-მეთქი“ — იხუმრა მაკინროიმ, რომელმაც თავის მეწყვილეს დაღალატება არ აპატია და გრაფი რამდენჯერმე სახალხოდ გამოლანძღა.

თუმცა, მაკინროისგან განსხვავებით, ინგლისის კაპიტან დევიდ ლოიდს, რომლის გუნდს ჩეხეთში თიხნარზე ელის მძიმე შეხვედრა, ყველაზე ცუდ ვარიანტად ზიმბაბვეში მოგზაურობა სულაც არ ესახება: „ყველა კაპიტნის უსაშინლესი კოშმარი ბრაზილიაში გუსტავო კუერტენთან თამაშია, როდესაც მაყურებლები სახეში სარკეებით გინათებენ“.

გუგასთან და რიოელ ქომაგებთან შებმის პატივი კი გაისად კი ფორჟეს ფრანგულ ლეგიონს ექნება.

# «სკადი» დაბრუნდა



REUTERS ვენიდან

მარატ საფინი

სინგაპური. „ჰაინეკენის“ ღია პირველობა. დარბაზი, ჰარდი. საპრიზო 600 ათასი $

როგორც იქნა, ელირსა დიდ ჩოგბურთში დაბრუნება ავსტრალიელ მარკ ფილიპუსისს. „სკადმა“ უიმბლდონის მეოთხედფინალში პიტ სამპრასთან შეხვედრის დროს მუხლის მძიმე ტრავმა მიიღო და ოპერაციის გაკეთება დასჭირდა, ექვსკვირიანი შესვენების შემდეგ კი აგვისტოში ერთადერთი მატჩი გამართა.

გუშინ ექიმებმა დაადგინეს, რომ ავსტრალიელმა ცოტა იჩქარა თამაშის დაწყება და მეტი დასვენება გამოუწერეს, მერე კი ოზმა მეგობრებთან კალათბურთში შეჯიბრის დროს კოჭიც გადაიბრუნა და აშშ-ის ღია პირველობისა და დევისის თასის ნახევარფინალის გამოტოვებაც მოუხდა.

„ისე ვერც კი მიხვდები, როგორ შეიძლება მოგენატროს ჩოგბურთი. ამდენ ხანს უსაქმურობა, მეგობრების შედეგებისთვის თვალყურის დევნება და ტელევიზორის ცქერა ძალიან ძნელი იყო“ — აღიარა „სკადმა“.

ფილიპუსისის მეტოქე სინგაპურის ტურნირის პირველ წრეში ამერიკელი ბობ ბრაიანი იყო, რომელიც კლასიფიკაციის მეორე ასეულში იმყოფება, ძირითად ბადეში კვალიფიკაციის გავლით მოხვდა და ვარსკვლავები ციდან არასოდეს დაუკრეფია.

ბუნებრივია, არცთუ საუკეთესო ფორმის მიუხედავად, ავსტრალიელს მოგება მაინცდამაინც არ გასჭირვებია — 6:4, 6:4: „ძალიან ვღელავდი და გამიხარდა, რომ რიგიანად ვითამაშე. ვგრძნობ, დიდი დრო დავკარგე, მაგრამ ბევრს ვვარჯიშობ და მატჩიდან მატჩამდე მოვუმატებ“.

დასძლია „ჰაინეკენის“ ღია პირველობის პირველი დაბრკოლება მაიკლ ჩანგმაც, რომელიც ბოლო ორი წლის მანძილზე აქ პირველივე წრეში მარცხდებოდა: მან ინდოელ ლეანდერ პაესს მოუგო 6:1, 6:3.

„შვებით ამოვისუნთქე, არც კი ვიცი, რას ვიფიქრებდი, დღევანდელი მატჩიც რომ წამეგო. ადრე სრულყოფილებისკენ სწრაფვის გამო ჩოგბურთისგან სიამოვნებას ვერ ვიღებდი, მაგრამ ბოლოდროინდელმა წარუმატებლობებმა დამარწმუნა, რომ იმასაც არა უშავს, თუ ყველაფერი არ გამოგდის“ — აღნიშნა ერთ დროს მსოფლიოს მეორე ჩოგანმა (ახლა 76-ემ).

პირველი წრე: **მარსელო რიოსი** (1, ჩილე) — ფრედრიკ იონსონი (შვედეთი) 6:2, 6:4; **პარადორნ სრიჩაპანი** (ტაილანდი) — მაგნუს ნორმანი (3, შვედეთი) 6:3, 1:6, 6:3; **ლეიტონ ჰიუიტი** (4, ავსტრალია) — პოლ გოლდსტაინი (აშშ) 4:6, 6:2, 6:4; **იონას ბიორკმანი** (8, შვედეთი) — რიჩარდ ფრომბერგი (ავსტრალია) 7:5, 6:2.

ვენა. ავსტრია. „CA ტენის ტროფი“. დარბაზი, ხალიჩა საპრიზო 700 ათასი $

ავსტრიის დედაქალაქში ყოფნა ვენის ტურნირის ბევრ ფავორიტს მაინცდამაინც დიდხანს არ გაუგრძელდა. სამშაბათიდან მოყოლებული ზედიზედ, თანაც თანმიმდევრობის მიხედვით, ერთბაშად სამი — მეორე, მესამე და მეოთხედ განთესილი გავარდა.

ტოდ მარტინმა (2), რომელიც აქ აშშ-ის ღია პირველობის ფინალის შემდეგ თავის პირველ მატჩს მართავდა, ჩეხ ირჟი ნოვაკთან წააგო 6:7(3:7), 7:6(7:5), 4:6.

ამერიკელმა სამი მატჩ-პოინტი ჯერ კიდევ მეორე ხელის ბოლოს გადაარჩინა, თუმცა საბოლოოდ ნოვაკთან მაინც ვერაფერი გააწყო და ყველაფერი ზედმეტად ნელ კორტებს დააბრალა: „როცა აქ მოვდიოდი, მეგონა, დარბაზის სწრაფი ხალიჩა დამხვდებოდა, მაგრამ ეს კორტი უფრო თიხნარს წააგავდა. რამდენიმე კვირაა, არ მითამაშია, მაგრამ ჩემი წაგება ამის ბრალი არ არის, უბრალოდ, მეტოქე თამაშობდა კარგად“.

პირველი წრის შემდეგ მოუხდა აბარგება როლან გაროსის შარშანდელ ჩემპიონ გუსტავო კუერტენსაც (3), რომელსაც ხორვატმა გორან ივანიშევიჩმა სძლია 6:1, 6:7(5:7), 6:4. ტიმ ჰენმანის (4) ცოდვა კი ზორბა რუსმა მარატ საფინმა დაიდო 6:4, 2:6, 6:3.

„ამ საფინს ვერაფერს გაუგებ, ერთ წუთში საზიზღრად თამაშობს, მეორეში — კარგად. მოველოდი კიდეც უცნაურ შეხვედრას, მაგრამ მაინც არაფერი გამომივიდა“ — დაიჩივლა ინგლისელმა.

**ავთანდილ სვანიძე**

პირველი წრე: **ევგენი კაფელნიკოვი** (1, რუსეთი) — ტომას ენკვისტი (შვედეთი) 6:3, 6:4; **გრეგ რუზედსკი** (5, ინგლისი) — ტომას იოჰანსონი (შვედეთი) 4:6, 6:3, 7:6(7:3), **რიჩარდ კრაიჩეკი** (6, ჰოლანდია) — გეორგ ბასტლი (შვეიცარია) 4:6, 7:5, 6:4; **ნიკოლას კიფერი** (7, გერმანია) — მარიანო ზაბალეტა (არგენტინა) 6:3, 6:4; **ნიკოლას ლაპენტი** (8, ეკვადორი) — ფრანსისკო კლავეტი (ესპანეთი) 7:6(7:1), 6:2; **კაროლ კუჩერა** (სლოვაკეთი) — დომინიკ ხრბატი (სლოვაკეთი) 3:6, 6:4, 7:5(7:3)



REUTERS სინგაპურიდან

მარკ ფილიპუსისი



# მინოლამაც ვერ უშველა

თბილისი
14 ოქტომბერი

**ყოჩები 9:17 (6:10) ლოკომოტივი 1**

ყოჩები: ფირაშვილი (ქააკია), ჭავჭავაძე, პაპავა (კუკუაშვილი), გუშარაშვილი (მხეიძე), ხურცილავა, ჭელიძე, სულთანიშვილი, ურუშაძე, გიორხელიძე, ტეფნაძე, პეტრიაშვილი, ბარძიმიშვილი, ლიპარტელიანი, ნიკლაური, ხეხელაშვილი
3 ს — ტეფნაძე
ლოკომოტივი 1: მაჭუტაძე, თოფურიძე (უდესიანი), კურცხელიძე (კვანტალიანი), მოგელაძე, ცხომელიძე, ხუჯაშვილი, ჯაველიძე, კახიანი, სუხიშვილი, კვინიხიძე, გუგავა, ჩაჩუა, ანდღულაძე (ცხადაია), ბუგიანიშვილი, ძნელაძე
2ლ — მოგელაძე, გუგავა
2გ — კვინიხიძე, ს — კვინიხიძე
მსაჯი: ლ. მგელაძე
მეთვალყურე: ა. ქურდობაძე

მოსალოდნელი იყო, რომ შეხვედრა უშელავათო და დაძაბული იქნებოდა, რადგან „ლოკომოტივი-1“ ის გუნდია, 10 ოქტომბერს „დათვებთან“ თითქმის წაგებული თამაში რომ გადაარჩინა.

თამაში „ყოჩებმა“ დაიწყეს. დაიწყეს და რკინიგზელებმაც შეუტიეს. არც ერთი გუნდი არ თმობდა უბრძოლველად არაფერს. მეტოქეებმა თავიდანვე ძალების დაზოგვა გადაწყვიტეს და თითქმის ყველა საჯარიმო დაარტყეს. პირველად კვინიხიძემ და ტეფნაძემ გაცვალეს 3-3 ქულა, შემდეგ კი ისევ საჯარიმოთი „ყოჩები“ დაწინაურდნენ, მაგრამ ეს უმცირესი უპირატესობა თვალსა და ხელს შუა გაქრა. „ლოკომოტივმა“ თავისი რიგები შეამჭიდროვა და იერიშზე გადავიდა.

შტურმი ისეთი ძლიერი იყო, რომ სტუდენტები დაიბნენ და დაახლოებით 10 წუთი გონს ვერ მოვიდნენ. რკინიგზელებმა „ყოჩები“ თავის ჩათვლის ხაზს მიაჯაჭვეს. ლელო გარდაუვალი შეიქნა. რამდენჯერმე გამეორებული შერკინების შემდეგ მოგელაძემ და „კომპანიამ“ ძალისმიერი ლელო გაიტანეს, რაც კვინიხიძემ დაუყოვნებლივ გარდასახა. 6:10 — ამ ანგარიშით წავიდნენ გუნდები შესვენებაზე.

ტაიმებს შორის მწვრთნელებმა გადმოაფრქვიეს თავიანთი ემოციები, ლანძღეს და თათხეს აღსაზრდელები. განსაკუთრებით ჭეიშვილს ჰქონდა სანერვიულოდ საქმე. მისი მორაგბეები ხომ რამდენჯერმე შეცდნენ მარტივ სიტუაციაში — წინ გაუვარდათ ბურთი.

სტუდენტებმა მეორე ტაიმით შეტევით დაიწყეს, რკინიგზელებმაც გამოიღეს ხელი და გაჩაღდა ბურთაობა. ტეფნაძემ ისევ საჯარიმოთი მინიმუმამდე შეამცირა ანგარიშში სხვაობა. თითქოსდა თამაშში გარდატეხა მოხდა, მაგრამ მხოლოდ თითქოს.

„ლოკომოტივს“ თამაში მოედნის ერთი კიდიდან მეორისკენ გადაჰქონდა. „ყოჩები“ ცდილობდნენ, რკინიგზელები ჩათვლის მოედანთან არ მიეშვათ, რასაც ერთხანს ახერხებდნენ კიდეც. შერკინებებში ძალებს არ ზოგავდნენ და ტოლს არ უდებდნენ მეტოქეს, რამდენჯერმე კი მძლავრი ბიძგით უკან დაახევინეს. ერთი ორჯერ უიმედო ბურთებიც გამოიტანეს ჩათვლის ხაზიდან, მაგრამ ეს იყო და ეს.

რკინიგზელები ბოლო შტურმზე გადავიდნენ. გრძნობდნენ, ერთი ქულით უპირატესობა ნებისმიერ მომენტში შეიძლებოდა გაქარწყლებულიყო. მძლავრი იერიშით მარცხენა ფლანგზე წაიღეს ბურთი და ლამაზი კომბინაცია გაითამაშეს. შეჯგუფდნენ თუ არა სტუდენტები მეტოქის წინ, „ლოკომოტივის“ მორაგბეებმა მყისვე შეცვალეს მიმართულება და გუგავა მოხდენილი ფანდით გასხლტა ორ მეტოქეს შორის. მისი ლელო ისევ კვინიხიძემ გარდასახა.

აქ უკვე უკიდურესად დაიძაბა სიტუაცია, მორაგბეები (ყოჩების) კინალამ გრძნობებს აჰყვნენ. კიდევ კარგი, ისევ მოთამაშეებმა და მსაჯმა იმარჯვეს და დასაწყისშივე ჩააქრეს მოსალოდნელი გართულება.

დანარჩენი 10 წუთი ისევ ბრძოლაში გაილია. „ყოჩები“ კვლავ თავგამოდებით აწვებოდნენ შერკინებებისას, მაგრამ ვერაფერი გააწყვეს. „ლოკომოტივი“ მედგრად იდგა.

**ზურა ბენიძე**

# მსოფლიო თასი

## ოვალური ამბები

უელსელი ნილ ჯენკინსი გუშინ მსოფლიოს ყველაზე შედეგიანი მორაგბე გახდა. სამოასთან მოპოვებული ქულების წყალობით მან ავსტრალიელი მაიკლ ლაინეგის რეკორდი დაამხო. რა თქმა უნდა, ჯენკინსი საოცარი დარტყმებით გამოირჩევა, მაგრამ მისი წარმატების მიზეზი მხოლოდ ეს არ ყოფილა. უელსის ნაკრების ერთი თავგადაკლული ქომაგის, დენზილ გრიფიტსის თქმით, ჯენკინსი საჯარიმოებისა და გარდასახვების შესრულებისას ოვალური ბურთის დასაყენებლად პატარა ბორცვს მსოფლიოში საუკეთესო ქვიშით აკეთებს. ამ ქვიშით უელსელთა დამრტყმელს თვით გრიფიტსი ამარაგებს. იგი უელსის სანაპიროზე ტინბის პლაჟზე აგროვებს ქვიშას და თავის საყვარელ მორაგბეს ამარაგებს. „ჩვენ მსოფლიოში საუკეთესო დამრტყმელი გვყავს, მსოფლიოში საუკეთესო სტადიონი გვაქვს და ამიტომ ქვიშაც მსოფლიოში საუკეთესო უნდა გვქონდეს“ — ამბობს დენზილ გრიფიტსი.

* * *

რაგბის თამაშისას გუნდები თავისთავად ცდებიან, რომელთაგან ერთ-ერთი ბურთის ხელით გათამაშებისას დაკარგვაცაა. ალბათ იფიქრებთ, რაც უფრო მაღალი კლასისაა ნაკრები, მით ნაკლებჯერ უნდა დაკარგოს ბურთიო. სინამდვილეში კი თურმე ეს ტექნიკური წუნი უფრო ხშირად ძლიერებს მოსდით, რაზეც მსოფლიოს თასის ორი ტურის სტატისტიკაც მეტყველებს. ყველაზე მეტჯერ ბურთი მსოფლიოს ჩემპიონ „ქურციკებს“ დაუკარგავთ (38). სამხრეთ აფრიკას ავსტრალია (35), აშშ (32) და უელსი (30) მისდევენ კვალში. აშშ-ს გარდა სამივე ეს ნაკრები ტურნირის ფავორიტად ითვლება. ამ მონაცემების გაცნობის შემდეგ კი იმითღა თუ ინუგეშებენ თავს, ვინც უფრო დიდხანს ფლობს ბურთს, უფრო ხშირადაც ის დაკარგავსო.

* * *

მსოფლიოს თასების ისტორიაში ყველაზე მეტი გამარჯვება ახალ ზელანდიას მოუპოვებია. „ოლ ბლექსს“ 1987 წლიდან მოყოლებული მხოლოდ ორჯერ განუცდიათ მარცხის სიმწარე, დანარჩენი 19 მატჩი კი თავიანთ სასარგებლოდ დაუმთავრებიათ. თუმცა ჩემპიონები „შავები“ ოდენ 12 წლის წინათ გამხდარან. 1991 წელს მათ ნახევარფინალური შეხვედრა დათმეს ავსტრალიასთან, 1995-ში კი ფინალში წააგეს სამხრეთ აფრიკასთან. მსოფლიოს თასზე წაუგებელი კი მხოლოდ „ქურციკები“ არიან, რომლებმაც 8-დან 8 თამაში მოიგეს. სამაგიეროდ, მათ მეზობელ ზიმბაბველებს, რომლებმაც წლეულს შესარჩევი ეტაპი ვერ დაძლიეს, ექვსი თამაშიდან ექვსივე წაუგიათ.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საიუბილეო სესიის მონაწილეთა საყურადღებოდ

სეოკ-ის საიუბილეო სესია გაიხსნება 1999 წლის 19 ოქტომბერს „შერატონ მეტეხი პალასში“ დილის 10 საათზე.
მონაწილეთა რეგისტრაცია: 8:30 — 9:30 სთ.
გთხოვთ თან იქონიოთ მოსაწვევი ბარათი.
სეოკ-ის აღმასკომი

ავტორბოლა

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

# შუმახერმა რიგი გაჭიმა

ორიოდე კვირაც და ფორმულა 1-ის საიუბილეო, 50-ე ჩემპიონატი ისტორიას ჩაბარდება. დარჩენილი ორი აზიური ეტაპი გადაწყვეტს პირველობის ბედს.

ევროპიდან შორეულ აღმოსავლეთში გადაბარგებულ „მოხეტიალე ცირკს“ ორგანიზატორებმა ჩვეულებრივზე ხანგრძლივი, სამკვირიანი ანტრაქტი მოუწყეს.

მართალია, „ნიურნბურგრინგზე“ ბოლო ეტაპის შემდეგ გერმანიიდან მალაიზიაში ჩასასვლელად ქარავანს ოკეანე არ გადაუსერავს, მაგრამ დროში 7-საათიანი განსხვავება და უჩვეულო, მძიმე ჰავა „სამეფო რბოლების“ მთავარ მოქმედ პირებს, ცხადია, გარკვეულ სირთულეებს შეუქმნიდა. ამიტომაც ადაპტაციას ჩვეულებრივზე მეტი დრო დასჭირდა. ზოგმა საჯინიბომ ეს პერიოდი თავის მუსტანგებში კონსტრუქციული სიახლეების გამოსაცდელადაც გამოიყენა.

ხოლო გრანდები, ვისი ერთადერთი საზრუნავიც ჩემპიონობაა, სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკებისთვის ხურდებიან. „მაკლარენი“ თუ „ფერარი“? ჰაკინენი თუ ირვინი?

შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ამ უპრინციპულეს დაპირისპირებას მალაიზიაშივე დაესვას წერტილი და საქმის გარჩევა საიაპონიოდ, კიდევ ორი კვირით არ გადაიდოს.

გათამაშების ლიდერი მიკა ჰაკინენი, ბუნებრივია, ყოველ ღონეს იხმარს „სეპანგის“ ზეთანამედროვე ავტოდრომზე გასამარჯვებლად და ჩემპიონობის ვადამდე მოსაპოვებლად. მით უმეტეს, რომ ერთი მოსისხლე მტერი, თანაგუნდელი დევიდ კულჰარდი, გზიდან ჩამოსცილდა. „ნიურნბურგრინგის“ ნაწვიმარ ტრასაზე გამოვარდნის შემდეგ შოტლანდიელის საჩემპიონო შანსი მინიმუმამდე შემცირდა, რის გამოც დარჩენილ რბოლებში გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე, სწორედ მიკაზე მოუწევს მუშაობა. თუმცა არც საკუთარი თავი უნდა დაივიწყოს ბოლომდე, რადგან სეზონის მეორე კურდღელიც ნამდვილად ღირს ბღვნად. მხედველობაში გვაქვს გუნდური პირველობა, ანუ კონსტრუქტორთა თასი. „მაკლარენი“ აქაც ლიდერობს და მორიგი, ამჯერად მალაიზიური დუბლი (პირველ-მეორე ადგილი) ამ დავასაც მის სასარგებლოდ გადაწყვეტს.


REUTERS

მიხაელ შუმახერს მეუღლე კორინა მუდამ თან დაჰყვება

თუმცა „ფერარი“ სულაც არაა ბედს შეგუებული და გენერალური ბრძოლისთვის განსაკუთრებული მონდომებით ემზადება. მთავარი იარაღი კი მიხაელ შუმახერი გახდა, რომელმაც კარგა ხნის ყოყმანის შემდეგ „სეპანგზე“ ასპარეზობა მაინც გადაწყვიტა.

გეხსომებათ, ერთი კვირის წინ შუმიმ განაცხადა, წლეულს ჩემი დაბრუნება გამორიცხულიაო. ივლისში, „სილვერსტოუნზე“ მომხდარი ავარიისას ორგან ფეხგადატეხილმა პილოტმა ისიც აღნიშნა, ეს გადაწყვეტილება საბოლოოა და აღარაფერი შეიცვლებაო. მაგრამ სამიოდ დღეში სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა და „ფერარიმ“ გაავრცელა ცნობა, ჩვენმა პირველმა პილოტმა გადაიფიქრა და მალაიზიაში იასპარეზებსო. ეს სენსაციური განცხადებაც და კუალალუმპურში მიხაელის ჩასვლაც მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა. „სეპანგზე“ შუმის გამოჩენამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა — ყველას გადაავიწყდა დებიუტისთვის გამზადებული ავტოდრომიც და ჩემპიონობის კანდიდატებიც. ყველას შუმახერის უეცარი დაბრუნების ნამდვილი მიზეზი აინტერესებს.

მართლაც, ძნელი დასაჯერებელია, სად დღეში ისე როგორ გაუყუჩდა მტკივანი ფეხი, რომ ასეთი სარისკო გადაწყვეტილება მიიღო. სხვათა შორის, შუმახერის მენეჯერი ვილი ვებერი ამ ნაბიჯს მეტად სარისკოდ და გაუმართლებლად მიიჩნევს.

— მიხაელმა არა მარტო საკუთარი რეპუტაცია, არამედ მომავალიც სასწორზე შეაგდო. წარმოიდგინეთ, რა შეიძლება დაემართოს, თუ ისევ მოხვდება ავარიაში. ყველაფერი კი იმ პრესინგის ბრალია, პრესამ რომ მოაწყო.

ვებერის იმ აჟიოტაჟს გულისხმობს, რომელიც შუმახერის განცხადებას მოჰყვა, 2000 წლამდე არ დავბრუნდებიო. გერმანულმა და იტალიურმა პრესამ ექსჩემპიონს ეგოისტი უწოდა და მაშინვე გაახსენეს ჰაკინენის მაგალითი, როცა იგი უმძიმესი ავარიისა და რამდენიმედღიანი კომის შემდეგ სამ თვეში მიუჯდა „მაკლარენის“ საჭეს. ბოროტმა რეპორტიორებმა შუმის ისიც დააყვედრეს, რომ იგი იმხელა გასამრჯელოს იღებს, მიკას არც დაესიზმრებაო.

ეტყობა, სწორედ ფინანსურმა ასპექტმა გადაწყვიტა საბოლოოდ საქმე. „ფერარის“ ხელმძღვანელობამ ჩათვალა, რომ ჟურნალისტებმა დროულად წამოჭრეს ეს საკითხი და პილოტთან საკმაოდ სერიოზული და პრინციპული საუბარიც გამართეს. შედეგად გერმანელმა მრბოლმა კაპიტულაცია გამოაცხადა.

თუმცა თავად ამას, ცხადია, უარყოფს:

— მე გადამათქმევინა ჩემი გუნდისა და ედის დახმარების დიდმა სურვილმა. ედი ხომ ასე ახლოსაა ჩემპიონის ტიტულთან, რომელიც „ფერარის“ 20 წელია აღარ მოუპოვებია. თანაც განწყობის შეცვლა — ეს ხომ საერთოადამიანური ნიშანია.

ბოლო დღეებში მე გაცილებით უკეთესად ვიგრძენი თავი და გადავწყვიტე სტარტზე გამოსვლა. ცხადია, გამიჭირდება მთელი რბოლის მაღალ დონეზე წარმართვა, თუმცა არ გამოვრიცხავ, იქნებ გავიმარჯვო კიდეც. მაგრამ ჩემი მთავარი ამოცანაა, მაქსიმალურად დავეხმარო გუნდს, რომლის ხელმძღვანელობის მხრიდანაც, ვიმეორებ, არავითარი ზეწოლა არ ყოფილა.

შუმახერის ამ მოულოდნელი დაბრუნებით ყველაზე მეტად მალაიზიის დიდი პრიზის ორგანიზატორებმა გაიხარეს და იხეირეს. „სეპანგის“ დებიუტი, რომელიც შეიძლება რიგით რბოლად გადაქცეულიყო, შუმის გამოჩენით ამ არასაავტომობილო ქვეყანაში ერთობ პოპულარული თემა გახდა და სალაროებთანაც უზარმაზარი რიგები გაიჭიმა.

**ირაკლი ნიკოლაძე**

ჭადრაკი

# იუნიორებმა [illegible] შნოეს

ამ შემთხვევაში სატურნირო ეკვატორს ვგულისხმობთ. ბერძნულ პატრასში მიმდინარე იუნიორ ვაჟთა და გოგონათა მსოფლიოს ჩემპიონატებზე მე-7 ტურის პარტიები გათამაშდა, რაც დაგეგმილი ცამეტის ნახევარზე მეტია. გოგონათა შორის ქართული დაჯგუფება ისევ ლიდერთა შორისაა. გუშინდელ ტურში სამივე ქართველმა გოგონამ მეტოქეებთან მშვიდობიანი განშორება არჩია და ანა მათნაძე 5,5 ქულით სლოვაკ რეგინა პოკორნასთან ერთად კვლავ ლიდერობს. შემდეგ მოდიან რუსი ეკატერინა პოლივნიკოვა და ლატვიელი დანა რეიზნიზე, ხოლო რამდენიმე მოჭადრაკეს, მათ შორის რუსუდან გოლეთიანსა და სოფო ტყეშელაშვილს 4-4 ქულა აქვთ.

ვაჟთა შორის ლიდერი არ შეცვლილა, ბერძენმა სტელიოს ჰალკიასმა კიდევ ნახევარი ქულა მიითვალა და ახლა 7 შესაძლებლობიდან 5,5 ქულით ლიდერობს, თუმცა მისი ლიდერობა მე-7 ტურმა უფრო მყიფე გახადა. ნაცვლად უწინდელი ოთხისა, ბერძენს ახლა უკვე 7 მოჭადრაკე მისდევს ფეხდაფეხ. მათი ჩამოთვლით ინფორმაციას არ გადავტვირთავთ, მით უმეტეს, ამ ჯგუფში ქართული გვარი ვერ დავაფიქსირეთ: ნიკა შავთვალაძე ჯერაც ათეულს მიღმაა.

**დავით გულუა**

ჰოკეი

# ნუ ეხუმრებით რუს ბებერს!

13 ოქტომბერი

**დეტროიტი — სენტ ლუისი 4:2 (2:1 1:1 1:0)**

0:1 ტარჯონი 7'10 (3); 1:1 მერფი 10'04 (2); 2:1 ჰოლმსტრიომი 14'29 (3); 2:2 ჰანდზუსი 28'58 (3); 3:2 ლარიონოვი 34'45 (2); 4:2 ლიდსტრიომი 50'48

უბერებელმა იგორ ლარიონოვმა თვით სახელოვანი პიერ ტარჯონი და სტივ აიზერმანიც კი დაჩრდილა. თუ სენტლუისელმა თავისი გუნდის წინა მატჩში 1 000-ქულიანი მწვერვალი დაიპყრო, ახლა მე-400 შაიბა მიითვალა.. დეტროიტელთა განთქმული კაპიტანი კი ნჰლ-ში მოგროვებულმა 1487 ქულამ ლიგის ბომბარდირთა სიაში მე-8 ადგილზე ალაზევა.

და მაინც, როგორც მოგახსენეთ, მატჩის გმირი 39 წლის დეტროიტელი ლარიონოვი გახდა. წლებმა მის ოსტატობას ვერაფერი დააკლო, რიცხვმრავლობაში თამაშისას კი რუსი ჰოკეისტი დღემდე შეუდარებელია ლიგაში. ახლაც რიცხობრივი უპირატესობა სამჯერ გამოიყენა: თავად აიზერმანის ზუსტი გადაცემით იხეირა, ორჯერ კი დიდებული პასებით ლარი მერფი და ნიკლას ლიდსტრიომი ასარგებლა.


REUTERS

ვანკუვერი — კალგარი 3:4. კალგარელი ვალერი ბურესა (მარცხნივ) და ვანკუვერელ ჯეისონ სტრადვიკის ორთაბრძოლა

**ნიუ ჯერსი — ანაჰაიმი 3:2 (0:1 2:1 1:0)**

0:1 კარია 4'12 (1); 1:1 ჰოლიკი 20'39 (5); 1:2 რუჩინი 22'30 (2); 2:2 ბრილინი 23'57 (3); 3:2 ოდელეინი 52'34 (1)

„ეშმაკები“ მარცხისგან მარტინ ბროდოს ჩინებულმა თამაშმა იხსნა. ნიუჯერსელთა მეკარემ პოლ კარიასა და ტეემუ სელიანეს (1 პასი) მრისხანე სუპერდუეტს 7-8 მომენტიდან მხოლოდ ერთი გამოაყენებინა.

**ტორონტო — ფლორიდა 3:2 (0:0 2:1 1:1)**

0:1 ნოვოსელცევი 5'40 (1); 1:1 ჰოგლუნდი 33'37 (5); 2:1 კაბერლე 39'40 (2); 2:2 ნოვოსელცევი 41'59 (2); 3:2 პერო 54'23 (1)

ბურე არ არის და შესაბამისი შედეგიც მივიღეთ. წინა მატჩში დაშავებული ლიდერის ნაცვლად მოთამაშე ივან ნოვოსელცევმა ორი გოლი კი გაიტანა, მაგრამ ფლორიდას ვერც ამან უშველა. ასე აღნიშნა 20 წლის ფარმკლუბელმა თავისი დებიუტი ლიგაში.

**დალასი — სან ხოსე 0:2 (0:1 0:0 0:1)**

0:1 სუნდსტრიომი 3'49 (1); 0:2 ფრიზენი 59'36 (4)

მიუხედავად იმისა, რომ დალასს ერთბაშად ორი ლიდერი — მაიკ მოდანო და დერილ საიდორი გამოუჯანმრთელდა, მაინც წააგო. თასის მლობელის პირველი საშინაო მარცხი სტივ შილდსის დიდებულმა თამაშმა განაპირობა. სან ხოსეს მეკარემ მარტო მესამე პერიოდში 20 დარტყმა(!) მოიგერია.

**კოლორადო — ბოსტონი 2:1 (0:0 1:1 1:0)**

1:0 ჰეიდუკი 37'40 (4); 1:1 ელორანტა 39'24 (1); 2:1 ფუტი 55'16 (1)

შვიდდღიანი და ხუთმატჩიანი მძიმე მოგზაურობიდან დაბრუნებულ კოლორადოს ახალთახალი „პეპსი სენტრი“ პირთამდე შევსებული დახვდა. ამ კოპწია არენას მხოლოდ გამარჯვება თუ დაამშვენებდა და „ეველენშმაც“ იყოჩაღა. აქტივი გაიმდიდრეს კრის დრურიმ (2 პასი) და მილან ჰეიდუკმა, ბოსტონის ახალბედა ფინელმა მიკო ელორანტამ კი ლიგაში პირადი ანგარიში გახსნა.

**ედმონტონი — კაროლინა 3:3 (1:1 2:1 0:1 0:0)**

1:0 რ. სმიტი 14'30 (3); 1:1 კრონი 18'35 (1); 2:1 სელივანოვი 32'03 (2); 2:2 ფრენსისი 36'25 (3); 3:2 გრირი 37'37 (1); 3:3 კაპანენი 58'09 (3)

კაროლინა კი ძველ არენაზეც ჩინებულად ასპარეზობს (ახლის გახსნამდე გუნდმა 9-მატჩიანი ურთულესი ტურნე უნდა გამართოს) და სტუმრადაც. ახლა სამი კაპანენისა (1+1) და რონ ფრენსისის (1+1) დუეტის ძალისხმევით მარცხს თავი დააღწია. ფრენსისის გარჯა კი ერთიორად ფასობს — იგი კეიტ პრიმოს მაგივრობასაც სწევს და მის არყოფნაში გუნდს მშვენივრად უძღვება.

**ვანკუვერი — კალგარი 3:4 (2:2 1:1 0:0 0:1)**

1:0 ნესლუნდი 3'11 (3); 1:1 სტილმანი 3'33 (3); 2:1 მოგილნი 7'41 (3); 2:2 ნაზაროვი 10'26 (1); 2:3 სტილმანი 21'05 (4); 3:3 კესელსი 54'25 (1); 3:4 ბურე 63'05 (3)

ვანკუვერის ხანგრძლივ უხეირობას (გუნდს 1997 წლის იანვრიდან ერთხელაც არ მოუგია ოვერტაიმში) ვერც დამატებით ხუთწუთეულში ცვლილებების შეტანამ მოუღო ბოლო. თუმცა, ახალი წესის თანახმად, კანადელებმა ერთი ქულა მაინც მიითვალეს. კალგარიმ კი ჩემპიონატში პირველად მოიგო.

**სამველ ლარიგიანი**

# ძაღლის თავი ძაღლებთან მარხია

ეტყობა უვე კრუპის გაჭიანურებული დავა დეტროიტთან მხოლოდ ახლა შედის გადამწყვეტ ფაზაში და სულ მალე იქნებ ოტავას ფორვარდის, ალექსეი იაშინის გახმაურებულ კომფლიქტსაც გაუტოლდეს.

სამშაბათს გერმანელმა მცველმა ნჰლ-ის ოფისში საჩივარი გაგზავნა. იგი დეტროიტთან დადებული კონტრაქტით გათვალისწინებულ 12,3 მილიონ დოლარს ითხოვს.

შეგახსენებთ, რომ კრუპმა 1998 წელს დეტროიტთან 4-წლიანი და 16,4 მილიონიანი კონტრაქტი გააფორმა, მაგრამ პირველი სეზონი პრაქტიკულად გამოტოვა, თავისი კუთვნილი 4,1 მილიონი დოლარი კი მაინც მიიღო. ზაფხულში მან აღარ წარუდგინა გუნდს დასკვნა თავისი ჯანმრთელობისა და მკურნალობსი შესახებ. და რაკი ვალდებული იყო, ეს გაეკეთებინა, გუნდმა იგი უვადო დისკვალიფიკაციით დასაჯა.



უვე კრუპი

34 წლის მცველმა სულ მალე აღიარა შეცდომა და დეტროიტის მესვეურებს სექტემბერში გაუგზავნა კიდეც აუცილებელი ცნობები, მაგრამ ამასობაში „წითელფრთიანთა“ მესვეურებისთვის ცნობილი გახდა, რომ კრუპი, მიუხედავად ტრავმისა, ზამთარში არანაკლებ ხუთჯერ მონაწილეობდა ძაღლებშებმული მარხილებით რბოლაში. და ეს მაშინ, როცა მას კლუბის წერილობითი ნებართვის გარეშე არც ერთ სხვა სპორტულ შეჯიბრებაში ასპარეზობის უფლება არ ჰქონდა.

კრუპის ადვოკატ, გუგასიანის თქმით კი სწორედ აქ არის დამარხული ძაღლის თავი. დამცველი ამტკიცებს, რომ კლუბის ხელმძღვანელობამ მანამდეც იცოდა ეს ყველაფერი, მაგრამ დუმდა, ახლა კი დასჭირდა და თავის სასარგებლოდ იყენებს. „მათ ეს კრუპის თავიდან მოსაცილებლად სჭირდებათ“ — თქვა გუგასიანმა პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში. კლუბის გენერალური მენეჯერის, ვენ ჰოლანდის თქმით კი, მან კრუპის რბოლაში მონაწილეობის ამბავი გასული ჩემპიონატის ბოლოს შეიტყო. ერთი სიტყვით, იმავე ჰოლანდიისა არ იყოს, ვითარება ერთობ ჩახლართულია და ჯერჯერობით ვერავინ იტყვის, დარჩება თუ არა კრუპი დეტროიტში და საერთოდ შეძლებს თუ არა თამაშს. უახლოეს ხანში ეს საქმე საარბიტრაჟო სასამართლოს გადაეცემა.

## პატივისცემაც ასეთი უნდა

ფორვარდ ჯო ნუინდაიკს დალასის სათასო ტრიუმფში მონაწილეობა ახალი, სამწლიანი კონტრაქტით დაუფასდა. მის თანახმად, ჯო გუნდში 2003 წლამდე დარჩება. კლუბს ხელშეკრულებით მცველი რიჩარდ მატვიჩუკიც (ოთხწლიანი) და მეკარე ედ ბელფორიც (ორწლიანი) დაუკავშირდნენ.

შეგახსენებთ, რომ ნუინდაიკი თასის შარშანდელი MVP და საუკეთესო გოლეადორი (11 გოლი) გახლავთ. აქედან 6 შაიბამ მის გუნდს გამარჯვება მოუტანა. კარიერაში ჩატარებულ 840 მატჩში კი ჰოკეისტი 426 გოლსა და 402 პასს ითვლის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცაში დაკიდული

*ამ ცაში დაკიდულ რაღაცას „ზე ჰელიოს პროტოტაიპ სოლარელექტრიკ პაი-აეტიტუდ ფლაინგ ვინგ ეარკრაფტს“ უწოდებენ. იგი კალიფორნიაში, ედვარდსის საჰაერო ბაზიდან აუშვიათ ჰაერში კოსმოსური კვლევის (განთქმულ ნასას) პროგრამის თანახმად. სპორტთან ამ ცაში დაკიდულ საგანს კავშირი არა აქვს, მაგრამ ადამიანებს ყოველთვის აინტერესებთ ცაში დაკიდული საგნები. ჩვენც გთავაზობთ.*



REUTERS ლოს ანჯელესიდან

## კასპაროვი — მსოფლიო






1. e4 c5 2. მf3 d6 3. კb5+ კd7 4. კxd7+ ლxd7 5. c4 მc6 6. მc3 მf6 7. 0-0 g6 8. d4 cxd4 9. მxd4 კg7 10. მde2 ლe6 11. მd5 ლxe4 12. მc7+ მფd7 13. მxa8 ლxc4 14. მb6+ axb6 15. მc3 ეa8 16. a4 მe4 17. მxe4 ლxe4 18. ლb3 f5 19. კg5 ლb4 20. ლf7 კe5 21. h3 ეxa4 22. ეxa4 ლxa4 23. ლxh7 კxb2 24. ლxg6 ლxe4 25. ლf7 კd4 26. ლb3 f4 27. ლf7 კe5 28. h4 b5 29. h5 ლc4 30. ლf5+ ლe6 31. ლxe6+ მფxe6 32. g3 fxg3 33. fxg3 b4 34. კf4 კd4+ 35. მფh1 b3 36. g4 მფd5 37. g5 e6 38. h6 მe7 39. ეd1 e5 40. კe3 მფc4 41. კxd4 exd4 42. მფg2 b2 43. მფf3 მფc3 44. h7 მg6 45. მფe4 მფc2 46. ეh1 d3 47. მფf5 b1=ლ 48. ეxb1 მფxb1 49. მფxg6 d2 50. h8=ლ d1=ლ 51. ლh7 b5 52. მფf6+ მფb2 53. ლh2+ მფa1 54. ლf4 b4 55. ლxb4 ლf3+ 56. მფg7 d5. 57. ლb4+ მფb1 58. g6




REUTERS ბარსელონიდან

# შენთვის, როზ

გუშინწინ რომ დიდ ესპანურ ომში „ბარსა“ „რეალს“ ხვდებოდა, ერთი კაი გოგოს დაბადების დღეც იყო. ის გოგო ნოუ კამპის ტრიბუნაზე იჯდა. მერე ბიჭმა, რომელსაც რივალდოს სახელით ვიცნობთ, გოლი გაიტანა, მაისურა გადაიძრო და იმ ადგილისკენ გაქანდა, სადაც გოგო იჯდა. „როზ, გილოცავ დაბადების დღეს“, ეწერა რივალდოს გულის ფიცარზე. როზი, რივალდოს ცოლია, სიყვარული — ბედნიერებაა.

## იტალია

თასის 1 ეტაპი. 1 წრე

**ატალანტა 3:1 ტორინო**

# ბრიტები ლაშქრობაში

ორი უგანთქმულესი ბრიტი მოკრივე, პრინს ნასიმ ჰამედი და ლენოქს ლუისი ამერიკის დასაპყრობად ემზადებიან. ორივე ოკიანის გალმა აპირებს ჩემპიონობას. ამიტომაც თუ შეყრილან პენსილვანიურ ქალაქ სკოტერნში, სადაც ლუისს ბანაკი დაუცია და განთქმულ ემანუილ სტიუარდის ხელმძღვანელობით ემზადება 13 ნოემბრისათვის, როცა ლას ვეგასში უნდა შეერკინოს ევანდერ ჰოლიფილდს. ნასიმი კი სულ მალე დეტროიტს გაემგზავრება, რათა იქაურ „ჯო ლუის სენტრუმში“ მექსიკელ სესარ სოტოს ამბიცია მოახრჩოს. ლენოქსი იამაიკელ-კანადური მოდგმისაა, ნასიმს იემენელ არაბთა სისხლი უდუღს, მაგრამ ორივეს ბრიტთა დროშაზე, იუნიონ ჯექზე დაუფიცია.



REUTERS სკოტერნიდან



REUTERS ტულუზიდან

# პრემიერი ტულუზში

ტულუზში ჩასულა საფრანგეთის პრემიერი ლიონელ ჟოსპენი და თავისი ქვეყნის მორაგბეთა გუნდისთვის ღვიძლი სიტყვა უთქვამს, აბა, თქვენ იცით როგორ დაამარცხებთ ფიჯის ნაკრებს 16 ოქტომბერსო. ნაკრების თავკაც ჟან კლოდ სკრელას საგუნდო კვართი უჩუქნია ჟოსპენისთვის, აქაოდა, თუ შირაკს ბლანი ჩუქნის მაისურასო.

# პირველი მალაიზიური



REUTERS კუალა ლუმპურიდან

სადამდე არ მისულა შლეგი ბოლიდი, ფორმულა ერთი რომ ჰქვია სახელად? სადამდე და, მგონი კავკასიამდე, თორემ ზღვისპირეთ-კუნძულეთში უკვე მიუღწევია. მალაიზია რომ არის ასეთი, დედაქალაქ კუალა ლუმპურით, ამ უქმეებზე ფორმულას დიდი პრიზის პირველ იქაურ ეტაპს მასპინძლობს. ამისთვის თუ დაუმთხვევია ქვეყნის სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრს მუჰიდინ ი ასინს ე.წ. მოტოკვირეული ამ თარიღისთვის და დიდ ანგარში ბოლიდთა გამოფენაც მოუწყვია. გამოფენის სახილველად პრემიერ-მინისტრი მაჰატირ მოჰამადიც მოსულა, რომელიც ბოლიდში ჩაუბრძანებიათ და მრბოლები პედრო დინისი (მარჯვნივ) და ჟან ალეზი (მის გვერდით) სახელდახელო გაკვეთილს უტარებენ.

იქავ გამართულა სალაღობო გარბოლა ცეროდენა გოუ-კარტებით, რომელიც მიხაელ შუმახერს (№3) მოუგია სეპანგის ტრასაზე.



REUTERS კუალა ლუმპურიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ზვიჩა სანიკიძე უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
გამომშვები ზურაბ ინა[illegible]ვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli